



ჩინელები საქართველოში

ძიანი ულო

ECMI -ის სამუშაო მოხსენება #54
იანვარი 2012



უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI) არის არაკომერციული, არასამთავრობო ინსტიტუტი, რომელიც დაფუძნებულ იქნა 1996 წელს დანიის სამეფოს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მთავრობების მიერ.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი დაარსდა ქ. ფლენსბუგში, გერმანიისა და დანიის მოსაზღვრე რეგიონის შუა გულში; რათა ყურადღება მიექცოთ ამ ტერიტორიაზე არსებულ უმცირესობებისა და უმრავლესობის მშვიდობიანი თანაცხოვრების წარმატებულ მაგალითზე.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს მრავალდისციპლინარულ კვლევას იმ საკითხებზე, რომელიც ეხება უმცირესობებისა და უმრავლესობის ურთიერთობებს, ევროპული მიდგომების გათვალისწინებით. ამასთანავე, წვლილი შეიტანოს ინტერ-ეთნიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის იმ ნაწილში, სადაც ადგილი აქვს ეთნო-კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს.

ECMI-ის კვლევით ნაშრომზე მუშაობენ ECMI-ს თანამშრომლები და ცენტრის მიერ მოწვეული მკვლევარები. ECMI-ის მიერ გამოცემულ კვლევებში გამოხატულ აზრებზე პასუხისმგებელია ნაშრომის ავტორი.

ECMI მოხსენება

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)

დირექტორი: დოქ. ტოვე ჰ. მალოი

© ECMI 2012



ჩინელები საქართველოში

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ორი ათეული წლის შემდეგ, საქართველოს ღია ეკონომიკამ და უკონტროლო საიმიგრაციო პოლიტიკამ, პირველად ქვეყნის ისტორიაში, ამ რეგიონიდან შორს მდებარე ქვეყნებიდან იმიგრაციის პროცესს შეუწყო ხელი. ამგვარი მიგრანტებიდან თბილისის ქუჩებში, განსაკუთრებით გეცემათ თვალში მიგრანტები აფრიკის ქვეყნებიდან, ინდოეთიდან და ჩინეთიდან. ინდოელთა შორის უმეტესობა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია, ან გადის სხვადასხვა პროფესიული მომზადების კურსს. აფრიკელები საქართველოში ძირითადად სამუშაოს საძიებლად ჩამოდიან, თუმცა, არიან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც. ჩინელების უმრავლესობა კი ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას ცდილობს.

ჩინელებმა საქართველოში შემოსვლა 1990-იან წლებში დაიწყეს. ამ რეგიონში სწორედ მაშინ გაჩნდა როგორც ჩინური სახელმწიფო საინვესტიციო საწარმოები, ისე ჩინური რესტორნების მზარდი ქსელი. 2000 წლიდან ქვეყანაში ნელ-ნელა მაღაზიის მფლობელთა და ბაზრის მოვაჭრეთა რიცხვი გაიზარდა. დღეისათვის საქართველოში დაახლოებით 1000 ჩინელი ცხოვრობს. ისინი შეიძლება დაიყოს ხუთ ჯგუფად: სპეციალისტები, ბიზნესმენები, მაღაზიის მფლობელები, ხელშეკრულებით მომუშავე მუშები და რესტორნებსა და კვების სექტორში დასაქმებული პირები.

ამ სტატიაში ყურადღება გამახვილდება საქართველოში ჩინელების იმიგრაციის ისტორიაზე, გამოიწვევ მიზეზებზე, ინტეგრაციის დონეზე (ან ამ დონის არარსებობაზე), დაცულობის ხარისხსა და მათ სტატუსზე ქართულ საზოგადოებაში. განხილული იქნება, აგრეთვე, ქვეყანაში ჩინური მსხვილი საწარმოების მზარდი რაოდენობა. ჩინურის, როგორც უცხო ენის სტატუსი საქართველოში და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს როლი ჩინური სათვისტომოს ცხოვრებაში.

ძიაი ული, იანვარი 2012

ECMI -ის სამუშაო მოხსენება #54

I. საქართველოში ჩაის კულტურის ფუძემდებლის ოჯახი

კავკასიაში ჩამოსულ ჩინელ მიგრანტებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ჩაის კულტურის სპეციალისტი ლაო ჯონჯაო, რომელიც 1890 წელს გუანდონის პროვინციიდან ჩავიდა ჩაქვში (აჭარა, საქართველოს ერთერთი რეგიონი).¹ მან და

მის მიერ ჩინეთიდან ჩამოყვანილმა კოლეგებმა შემოიტანეს ჩაის პირველი კულტურა საქართველოში.² მის მიერ

¹ არსებობს ლეგენდა იმასთან დაკავშირებით, რომ 'სამი სამეფოს' პერიოდში (ჩვ. წელთაღრიცხვით 220-280), სახელგანთქმული მხედართმთავრის, მა ჩაოს ოჯახის წევრი გაიქცა კავკასიაში. მოსე ხორენელის *სომხეთის ისტორიის* (რომელიც

დაიწერა ჩვ.წ-ით მე-5 საუკუნეში) მიხედვით, ეს პიროვნება თითქოსდა გახდა სომხეთის უზუნაესი სასამართლოს წევრი და სათავე დაუდო მამიკონიანების არისტოკრატიულ გვარს. თუმცა, თანამედროვე ისტორიკოსებს საკამათოდ მიაჩნიათ ამ ლეგენდის ნამდვილობა.

² საქართველოში ჩამოსული ჩინელი სპეციალისტების პირველი ჯგუფის წევრებიდან ზოგიერთი მალარიით გარდაიცვალა; მათი



გამოყვანილ წითელ ჩაის 1900 წელს პარიზის მსოფლიო ბაზრობაზე უმაღლესი ჯილდო მიენიჭა. მას შემდეგ ქართული ჩაი ათეულობით წელი ინარჩუნებდა მაღალ რეპუტაციას.³

ამ წვლილისათვის 1911 წელს ცარისტულმა მთავრობამ ლაოს სახელმწიფო ჯილდო გადასცა, მოგვიანებით კი, საბჭოთა პერიოდში, მან შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო. სავარაუდოდ, ის ერთადერთი ჩინელია, რომელიც ამგვარი ჯილდოს მფლობელი გახდა. ლაო თავის ოჯახთან ერთად მთელი 34 წლის მანძილზე ცხოვრობდა საქართველოში. 1924 წელს, მას შემდეგ რაც მას წაუყენეს ულტიმატუმი მიეღო საბჭოთა მოქალაქეობა და ისე გაეგრძელებინა მუშაობა, დატოვა ეს ქვეყანა. მისი სახლი ჯერ კიდევ დგას ზღვის სანაპიროზე, ბათუმში, ხოლო, მისი პირადი ნივთები საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში ინახება.⁴

ლაო ჯონჯაოს შვილები და შთამომავალნი დღემდე ცდილობენ შეინარჩუნონ მჭიდრო კავშირი ორივე ქვეყანასთან.⁵ მისმა ერთერთმა ვაჟმა, ლიუ ზერონგმა საფუძველი ჩაუყარა ჩინურ-რუსულ ლექსიკოგრაფიას, მას შემდეგ, რაც 1956 წელს გამოაქვეყნა დიდი რუსულ-ჩინური ლექსიკონი, რომლის საფუძველზედაც შემდგომში შეიქმნა უფრო სრულყოფილი რუსულ-ჩინური ლექსიკონები. გადმოცემით, ლიუ ზერონგი ლენინგრადში თარჯიმნად მუშაობის დროს შეხვედრია ლენინს და შემდგომში მიწერ-მოწერაც ჰქონია მასთან.

საფლავები ბათუმში უნდა იყოს. ინტერვიუ ლიუ გუანგენტან, იენისი, 2011.
³ სამწუხაროდ, მოგვიანებით, სრუშოვის პერიოდის სასოფლო-სამეურნეო მეთოდებმა დააკნინეს ჩაის ხარისხი და 'ლაო' (ლიუს კანტონური ვარიანტი) ახლა ადგილობრივი ეუფემიზმი გახდა ცუდი ხარისხის ჩაისათვის. დიმიტრი ბურტინი, "საქართველო: საწმისი, ღვინო და მიმინო" *Kommersant Dengi*, № 5(410) 10 თებერვალი, 2003, http://www.kommersant.com/doc.asp?id_doc=363467.

⁴ იყო მისი სახლის ისტორიულ ადგილად გადაქცევის მცდელობა, რასაც მხარს უჭერდა ჩინეთის საელჩო.

⁵ ლიუ გუანგენი არის, ასევე, აბრეშუმის გზის კულტურული ცენტრის თავმჯდომარე და დამაარსებელი, სადაც ხდება ჩინური წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა.

ლაოს კიდევ ერთი ვაჟი ქართველ ქალთან, ნონა თუშმალიშვილთან ერთად გაპარულა და მასზე დაქორწინებულა. მოგვიანებით ნონა პეკინის პელაგოგიურ უნივერსიტეტში რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის დაარსებაში დაეხმარა. 1958 წელს მათი ქალიშვილი ლიუ გუანგენი განათლების მისაღებად პეკინიდან საქართველოში ჩამოვიდა და ცოლად გაჰყვა ცნობილ ქართველ მხატვარს, აწ განსვენებულ გივი ყანდარელს. ლიუ გუანგენმა შემდგომში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში უმაღლესი განათლების, კერძოდ, ჩინეთის კვლევის სფეროში. მისი შვილიშვილი კი, დღეისათვის ქართული ენის ერთადერთი მასწავლებელია პეკინის უნივერსიტეტში.

ქნი ლიუს სიტყვებით, საქართველოში მხოლოდ ორი ოჯახია, რომლებსაც იგივე ფესვები აქვთ. პირველი ჩინელი ჯარისკაცია, რომელიც წითელ არმიაში გადიოდა წვრთნას, დარჩა საბჭოთა კავშირში და ქართველ ქალზე იქორწინა. კიდევ ერთი ჩინელი მამაკაცი, მისი ბაბუის ჩაის ექსპერტთა გუნდიდან, ასევე დასახლდა საქართველოში და ქართველ ქალზე იქორწინა. ეს ორი ოჯახი საფუძვლიანად არის ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში; მათ უკვე აღარ აქვთ ჩინური გვარები და ჩინურსაც თითქმის ვეღარ ფლობენ.

II. ჩინური ბიზნესის დასაწყისი საქართველოში

თავდაპირველად საქართველოში შემოსულ ბევრ ჩინურ საწარმოს სახელმწიფო მართავდა ან აფინანსებდა. სასტუმრო "ლაზისში", რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში გაიხსნა, საქართველოში პირველი ჩინური რესტორანი ფუნქციონირებდა. სასტუმრო ხინჯიანგის ავტონომიური ოლქის მთავრობის დაფინანსებით ხინჯიანგიდან ჩამოსულმა პირმა გახსნა. 1996 წელს, სახელმწიფო მმართველობის ქვეშ სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მიზნით, საქართველოში გაგზავნეს ჩინელი ბიზნესმენების ექვსკაციანი ჯგუფი, რომლებსაც განათლება რუსულად ჰქონდათ მიღებული. მათ ჰაიბეის ოლქში



დაფუძნებული იმპორტ-ექსპორტის კომპანიის საქართველოს ფილიალი გახსნეს. მათ სჯეროდათ, რომ ყოფილი საბჭოთა ქვეყანა კარგი ბაზარი იქნებოდა სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობისათვის. კომპანიამ დაიწყო ტანსაცმლის, სათამაშოების, და ამასთან, საკვები პროდუქტების შემოტანაც კი. ლიანგ იუგანგი, იმ ექვსი სახელმწიფო მოსამსახურიდან ერთადერთი, რომელიც დღემდე საქართველოში ცხოვრობს, ამბობს, რომ იმ დროს საქართველოში ძალიან ცოტა ჩინელი ცხოვრობდა. ესენი იყვნენ სავაჭრო კომპანიებში ან რესტორნების ქსელში დასაქმებული დამოუკიდებელი მეწარმეები. მათი უმრავლესობა მსახურობდა შრომის პირველად ბაზარზე. ეკონომიკურმა მიგრანტებმა, სახელდობრ, ბაზრის მოვაჭრეებმა და ბაიპუს მალაზიების მფლობელებმა მხოლოდ 2003 წლის შემდეგ დაიწყეს საქართველოში შემოსვლა.⁶

90-იან წლებში საქართველოში ჩინელების მიგრაცია კონტროლს ექვემდებარებოდა, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე სახელმწიფოებში შედიოდა ჩინელი ეკონომიკური მიგრანტების დიდი რაოდენობა, რომლებსაც იქ იზიდავდათ “ცუდად რეგულირებადი თავისუფალი ბაზრები, ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკა და სამომხმარებლო საქონელზე დიდი მოთხოვნა”, რაც ფეხდაფეხ მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას.⁷ გაურკვეველია, მაშინ რატომ არ დაინტერესდნენ ჩინელი ეკონომიკური მიგრანტები საქართველოთი - ალბათ იმიტომ, რომ ჩინელების საწყისი ქსელის არ არსებობის გამო მათთვის ნაკლებ მისაწვდომი იყო როგორც ეს ქვეყანა, ისე მისი ბაზარი. შესაძლოა დავუშვათ ისიც, რომ საქართველო მაშინ ჯერ კიდევ ბურუსით მოსილი და უცნობი ქვეყანა იყო თვით მეწარმე ჩინელებისთვისაც კი. ჩინელი

მიგრანტები მას იყენებდნენ ხანმოკლე დროით და აქედან ცდილობდნენ უშუალოდ ევროპაში შესვლას.

ერთ-ერთი წყაროს ცნობით, 1997 ან 1998 წელს გახსნილი ჩინური რესტორანი ასევე ასრულებდა შუამავლის როლს ჩინელი მიგრანტებისათვის, რომლებიც ეძებდნენ იოლ გზებს ევროპაში შესადგევად. სასტუმროს მფლობელს შეეძლო 100-200 ჩინელი მეწარმის უზრუნველყოფა ვიზებით. მას ჰქონდა კონტაქტები უცხოელ მაღალჩინოსნებთან, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ მის რესტორანს.⁸ რესტორანი დიდი ხნის წინ დაიხურა და არ არის ცნობილი, გრძელდება თუ არა რაიმე სხვა საშუალებებით მიგრანტებთან დაკავშირებული შუამავლობა საქართველოში, მაგრამ არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამგვარ ნახევრად კანონიერ საქმიანობას ეწევიან სხვა ქვეყნებში, რაც სულაც არ არის უცხო ჩინელების ტრანსნაციონალური საზოგადოებისათვის.⁹

არც მაშინ და არც ახლა, ჩინური რესტორნები საქართველოში არ გახსნილა ჩინელების ეთნიკური ჯგუფის მომსახურების მიზნით. აღნიშნული რესტორნები უმთავრესად უცხოელებს მასპინძლობდა, ამასთან სხვა ჩინელებს ქვეყანაში ფეხის მოკიდებაში ეხმარებოდა. “რესტორნის გახსნა არის ყველაზე ადვილი და სარფიანი ბიზნესი, განსაკუთრებით ჩინელი ხალხისათვის,”-თქვა ბიზნესმენმა იუ ჰუამ, რომელმაც თავისი პირველი რესტორანი “ჩაინათაუნი” ქუთაისში 2002 წელს გახსნა, მოგვიანებით კი დააარსა ‘საქართველო-ჩინეთის ინვესტიციების მართვის კორპორაცია’. როგორც ბევრი რესტორნის მფლობელი საქართველოში, ისიც სხვა საქმისთვის ჩამოვიდა და რესტორანი გახსნა მას შემდეგ, რაც იმ ბიზნესმა არ გაამართლა.¹⁰ დღესდღეობით თბილისში შვიდი ჩინური რესტორანი ფუნქციონირებს.¹¹

⁶ ინტერვიუ ლიანგ იუგანგთან, იენისი, 2011. *ბაიპუს* (ითარგმნება როგორც ‘ათასი რამ’) ნიშნავს ფართო მოხმარების საგნებს: საოჯახო ნივთებს, სათამაშოებს, ტანსაცმელს და ა.შ. - რომლებიც იყიდება საქართველოს ‘ჩინურ მაღაზიებში’.
⁷ ნაირი პალი, “ჩინელი მეწარმეები ღარიბ ქვეყნებში, risingpowers.open.ac.uk/documents/Publication/Hong_Kong_paper.pdf.

⁸ ინტერვიუ იუ ჰუასთან, მაისი, 2011.
⁹ იხ. ევროპის საბჭოს 2003 წლის რეგიონული კონფერენცია მიგრაციის შესახებ, კიევი; მომხსენებლები ირინა ივანნიუკი, “მიგრაციული მოძრაობა აღმოსავლეთ ევროპის საზღვრებზე” და იორგენ კარლინგი და ჰეიდი ოსტბო შაუგენი “როგორ გაივსო აფრიკული დასახლებები ჩინური მაღაზიებით,” 2004.
¹⁰ საკვების ხარისხი რესტორნებში იმდენად დაბალი იყო, რომ იუ ჰუამ გადაწყვიტა თვითონ



90-იან წლებში ბიზნეს-საწარმოების გახსნას განაპირობებდა ის, რომ ჩინელების მოთხოვნა გაიზარდა ხე-ტყეზე, განსაკუთრებით კი ფანერაზე, რომელიც ევროპული წიფლის ხისგან მზადდება, რაც კავკასიაში დიდი რაოდენობით იზრდება.¹² იუ ჰუა საქართველოში პირველად 1999 წელს ხე-ტყის ბაზარზე გასვლის მიზნით ჩამოვიდა და დარჩა ქუთაისში მაშინაც კი, როდესაც მისმა კომპანიამ ქვეყანა დატოვა. მისი აზრით, იმ დროისათვის ის ერთადერთი ჩინელი იყო დასავლეთ საქართველოში. ჩინეთის ბაზრის არამდგრადობის გამო, ბევრი ასეთი საწარმო წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა, ხე-ტყის რესურსები დღემდე რჩება საქართველოსადმი ჩინეთის მზარდი ინტერესის საგნად.¹³

90-იან წლებში საქართველოში შემოსული და აქ დასახლებული ჩინელების უმრავლესობას აქვს საკუთარი ბიზნესი, კომპანიები ან რესტორნები. მათი სათვისტომო აქ პატარაა და უფრო სწორი იქნება, თუ მათ ემიგრანტებს ვუწოდებთ. ბოლო დროს შემოსული ეკონომიკური მიგრანტებისგან განსხვავებით, რომელთაგან

გაეხსნა რესტორანი. სხვა ინტერვიუში საქართველოში მცხოვრებმა ერთერთმა ჩინელმა აღნიშნა, რომ ჩინეთში, ნებისმიერ ოჯახში, შეუძლიათ უკეთესი კერძების მომზადება, ვიდრე ჩინურ რესტორნებში [საქართველოში]. [რესტორნებში] საკვები მზადდება უცხოელების გემოვნებით.”

¹¹ ახლანდელი რესტორნები: პიკასო, საიგონი, შანხაი, აღმოსავლეთის მარგალიტი, ჩაინათაუნი, შანგრილა და ახალი აზია.

¹² ინტერვიუ იუ ჰუასთან, მაისი, 2011.

¹³ ჩენგდუს იმპორტ-ექსპორტის კორპორაცია, რომლის ახალი სახელწოდებაა ჩინეთის ჩენგდუს იმპორტ-ექსპორტის კომპანია, 1999-2002 წლებში აწარმოებდა ხე-ტყის შესყიდვას. დღეისათვის დარჩენილ ჩინურ ხე-ტყის კომპანიებს შორისაა: ‘ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო. ლტდ.’ რომელმაც 2005 წელს მიიღო წაღწევის რაიონში ხე-ტყის დამზადების 25 წლიანი ლიცენზია. ასევე, ლიცენზიები ჩხოროწყუში, იმერეთსა და კახეთში. “ჩინელი ინვესტორები: ურთიერთგაგების არარსებობიდან ორმხრივად მომგებიან თანამშრომლობამდე.” *ჩინური ბიზნესი საქართველოში 2010*,

გამოცემულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქართველოს საელჩოს ეკონომიკური და კომერციული მრჩეველის ოფისის მიერ. ინტერნეტ-მისამართი:

<http://ge2.mofcom.gov.cn/accessory/201010/1288252884648.pdf>

თითქმის ყველა სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანის და ფუჯიანის სანაპირო რაიონებიდანაა, ისინი ჩამოსულები არიან ჩინეთის ყველა რეგიონიდან (პეკინის, ჰუბეის, სინუანის). ამ ემიგრანტთაგან ზოგიერთს აზერბაიჯანსა და სომხეთში აქვს ბიზნესი და ინვესტიციები.

III. ჩინური ბიზნესი 2000-2010 წლებში

90-იან წლებში ვაჭრობის მასშტაბები ჩინეთსა და საქართველოს შორის შედარებით შემცირდა. 2000-2010 წლებში კი ასჯერ გაიზარდა. 2000 წლის ბოლოდან ჩინეთმა დაიწყო ახალი “გასვლითი” სტრატეგიული ღირებულების განხორციელება, რომელიც გულისხმობდა ყურადღების გამახვილებას ინვესტიციების ჩადებაზე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამის გამო ის სულ უფრო და უფრო მეტ განვითარებად ქვეყანასთან ამყარებდა სავაჭრო ურთიერთობებს.¹⁴ დასავლეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა ჩინეთის ურთიერთობებს აფრიკის ქვეყნებთან, თუმცა, საქართველოც ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეცვალა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გლობალური ეკონომიკური სტრატეგია. თუმცა, ჩინეთის მიერ საქართველოში ჩადებული პირდაპირი ინვესტიციების ოდენობა არცთუ ისე დიდია და ფაქტობრივად 2008 წლიდან უარყოფითი კი გახდა. მიუხედავად ამისა, ბოლო ათწლეულში საქართველოში ფუნქციონირებს მნიშვნელოვნად მეტი მსხვილი ჩინური კომპანია, განხორციელდა

¹⁴ “ქვეყნიდან გასვლის” (“going-out”) პოლიტიკის განხორციელება 2000 წელს პირველად დაიწყო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ბოლოს ის შეტანილი იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-10 ხუთწლიან გეგმაში. ახალი ღირებულება ხსნის უწინდელ შეზღუდვებს უცხო ქვეყნებში საქმიანობასთან დაკავშირებით და იმ კომპანიების ზოგიერთ სექტორს, რომლებიც დებენ ინვესტიციებს საზღვარგარეთ, უზრუნველყოფს სუბსიდიებითა და მისი პოლიტიკის მხარდაჭერით. იხ: დუნკან ფრიმანი, “ჩინეთის საზღვარგარეთული ინვესტიციები: სამოქმედო კურსის მიოხილვა,” BICCS Policy Paper, 2008.



ინფრასტრუქტურული პროექტები, რის შედეგადაც ქვეყანაში შემოვიდნენ ახალი მიგრანტები: ინვესტორები, კომპანიების თანამშრომლები, სპეციალისტები და მშენებლობის მუშები.

2001 წელს სიჭუანის “ელექტროენერჯის იმპორტისა და ექსპორტის კორპორაციაში” კოდორის ხეობაში ხადორის ელექტროსადგურის ასაშენებლად 34 მილ. აშშ დოლარის ინვესტიცია ჩადო. ხადორი არის ერთადერთი დიდი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ამ კომპანიამ ააშენა. საძირკველის ჩაყრის ცერემონიაზე მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ დაიწყო “ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სავაჭრო თანამშრომლობის ახალი ეტაპი”. მსგავსი აზრი გამოთქვა 2004 წელს მშენებლობის დასრულების ცერემონიაზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.¹⁵ მშენებლობის დასაწყისში ჩინელი საველე ექსპერტების, პროექტის მართვასა და განხორციელებაზე ზედამხედველ პირთა რაოდენობა მხოლოდ ოციოდე თუ ექნებოდა. ამ ჯგუფის წევრთა უმრავლესობამ საქართველო პროექტის დასრულებისთანავე დატოვა.¹⁶

2005 წელს “Xinjiang Hualing Industry and Trade Group”-ის შვილობილმა კომპანიებმა “Georgian Timber Processing Corporation” -მა და “Georgian Wood & Industrial Group”-მა, რომლებმაც წალენჯიხაში ხე-ტყის დამზადების 25-წლიანი ლიცენზია მოიპოვეს, ზუგდიდთან ახლოს მდებარე სოფელ ღიაში ააშენეს ქარხანა. სოფ. ღიას მცხოვრებთა ერთ-ერთი წარმომადგენლის, ვახტანგ კვიციანიას სიტყვებით, ადგილობრივი მოსახლეობა თავდაპირველად შეაშფოთა

ჩინელების გამოჩენამ. შეშფოთება კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც გაიფიცნენ ამ კომპანიის მიერ დაქირავებული, ხელფასით და სამუშაო პირობებით უკმაყოფილო ქართველი მუშები. მოგვიანებით მდგომარეობა გამოსწორდა და სოფ. ღიას ერთ-ერთი მცხოვრების აზრით, ახლა ეს კომპანია არის გადასახადების ყველაზე მსხვილი გადამხდელი რეგიონში. მან შეიტანა თანხა ადგილობრივი გზების შესაკეთებლად შექმნილ ფონდში. კომპანია ასევე ეხმარება სოციალურად დაუცველ ოჯახებს, სკოლებსა და ადგილობრივ კლინიკებს. ზამთარში მათ შემთხვევით ამარაგებს.¹⁷

2009 წლის სექტემბერში, ‘Xinjiang Hualing Group’-მა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ქუთაისში თავისუფალი სამრეწველო ზონის შექმნის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ეს ჩინური კომპანია უკვე ფუნქციონირებდა საქართველოში და კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში აწარმოებდა ხე-ტყის მეორად გადამამუშავებას, ასევე ოქროსა და სპილენძის მოპოვებას.¹⁸ მემორანდუმის თანახმად, გარდა ამისა, ახლად შექმნილ 88 000 კუბურ მეტრ გადასახადებისაგან გათავისუფლებულ მიწის ნაკვეთზე ხე-ტყისა და მინერალებს დაამუშავებენ. ფლობს რა ტყის განაშენიანების 20-წლიან ლიცენზიას, 2010 წელს ჩინურმა კომპანიამ განახორციელა 100 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია. მას ასევე დაგეგმილი აქვს ააშენოს რამდენიმე ქარხანა, ავეჯის დამამზადებელი ქარხნის ჩათვლით.¹⁹ ხელმოწერის ცერემონიალს დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ჩინეთის ელჩი. სხვა, შედარებით ახალი ინვესტიციები, ტელეკომუნიკაციების სფეროში ჩადეს შემდეგმა მსხვილმა ჩინურმა კომპანიებმა

¹⁵ ჩენ რანიუნი, “ორმხრივი სარგებელი. . .” *ჩინური ბიზნესი საქართველოში 2010*.

¹⁶ ინტერვიუ Eastern Power Corporation -ის წარმომადგენელთან, იენისი, 2011. დაწვეული 2000 წლიდან პანკისის ხეობა იყო ჩეჩენი მეამბოხე მებრძოლების სამალაგი და მეტად არასტაბილური ზონა. 2002 წელს რამდენიმეჯერ მიიტანეს იერიში ხადორის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ადგილზე და დაბომბეს იგი. 2002 წლის აპრილში ასევე თავს დაესხნენ საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროსადგურის დასაცავად განლაგებულ უსაფრთხოების ძალებს.

¹⁷ “ჩინელი ინვესტორები,” *ჩინური ბიზნესი საქართველოში, 2010*.

¹⁸ ჩენ რანიუნი, “ორმხრივი სარგებელი,” *ჩინური ბიზნესი საქართველოში, 2010*.

¹⁹ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, “Xinjiang Hualing Group და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ხელს აწერენ გაგების მემორანდუმს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის დაარსების შესახებ,” 14 ივლისი, 2009, <http://ge.china-embassy.org/chn/sgxx/t583931.htm> [ჩინურად]



საქართველოში: ZTE კორპორაცია, Huawei Technology Company Ltd-მ. არიან, ასევე, კერძო სავაჭრო კომპანიები, რომლებიც ეწევიან ჩინური საქონლის ფართომასშტაბიან იმპორტს საქართველოში. საქართველოს ლატარიის კომპანია (LLC), რომელიც უდიდესია ქვეყანაში, ნაწილობრივ ჰონგ კონგის კომპანიის მფლობელობაშია; მისი გენერალური დირექტორი ალენ ჩანგი ჰონგ კონგიდანაა.²⁰

ათწლეულის მეორე ნახევარში ფართომასშტაბიანი სამშენებლო პროექტების განხორციელება ჩინელ კონტრაქტორებს დაეკისრათ. პირველი ამგვარი პროექტი 2007 წლის ბოლოს გადაეცა ჩინეთის მე-20 მეტალურგიულ სამშენებლო კორპორაციას 'პარკ-ჰაიატ ჰოტელ'-ის ასაშენებლად. პროექტის განხორციელებაზე უნდა დახარჯულიყო 200 მლნ. დოლარზე მეტი და მშენებლობაზე უნდა ემუშავა 2500 ჩინელ და ქართველ მუშას შეფარდებით 70/30.²¹ 2008 წლის ომისა და გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ პროექტის განხორციელება შეწყდა.

2010 წელს სამი ფართომასშტაბიანი, მრავალმილიონიანი სამშენებლო კონტრაქტი გაფორმდა ორ ჩინურ სახელმწიფო კორპორაციასთან - 'სინოჰიდროსთან' და 'ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფთან' (შპს). კორპორაცია 'სინოჰიდრომ' 2010 წლის აპრილში დასავლეთ საქართველოში რიკოტის გვირაბის რეაბილიტაციის შესახებ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს იყო პირველი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ტენდერის გზით გადაეცა ჩინურ კომპანიას. კომპანია შეარჩია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უცხოური პროექტების განყოფილებამ, რომლის ყოფილი ხელმძღვანელის

განცხადებით, კომპანიის შერჩევა არ იყო ძნელი და უპირატესობა მიენიჭა მას, ვინც სამუშაოს უფრო იაფად შეასრულებდა. კონტრაქტის ფასი 19.8 მლნ. ევროთი განისაზღვრა, რაც 'ევროპის საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა' დააფინანსა. მალე კორპორაცია 'სინოჰიდრომ' საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან ახალი კონტრაქტი მიიღო. კონტრაქტს, რომელიც აჭარაში შემოვლითი გზის მშენებლობას ითვალისწინებდა, ხელი მოეწერა 2010 წლის ნოემბერში, თუმცა მასალების შემოტანის დაგვიანების გამო, სამუშაოები მხოლოდ 2011 წლის ივნისში დაიწყო.²² აჭარის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტს აფინანსებს 'ახის განვითარების ბანკი', რომელმაც ამისათვის დაახლოებით 48 მილ. ევრო გამოყო.²³

კიდევ ერთი სამშენებლო პროექტი, რომელსაც ხელი მოეწერა ჩინურ კომპანიასთან, თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობაა, რაც დღეისათვის ერთადერთი უდიდესი ინფრასტრუქტურული პროექტია საქართველოში. 'ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს' ჯგუფმა, რომელმაც შექმნა კონსორციუმი ქართულ კომპანია 'ხიდმშენთან', კონტრაქტს ხელი 2010 წლის მაისში მოაწერა. პროექტი მთლიანად 277.3 მილ. ევროდაა შეფასებული.²⁴ სამივე პროექტში გამოყენებულია როგორც ადგილობრივი, ისე ჩინეთიდან საქართველოში შემოყვანილი სამუშაო ძალა.

'საქართველო-ჩინეთის ინვესტიციების მართვის კორპორაციის' დამაარსებელი ფირმა, რომელიც მონაწილეობდა კონტრაქტის ღობირების საქმეში, აცხადებს, რომ ტენდერის პროცესი იყო დაძაბული და რთული, ვინაიდან 'ევროპის

²⁰ ქეთი ჩხიკვაძე, "საქართველოში კომპანიების 18%-ს ჰყავს უცხოელი პრეზიდენტი," 7 ივნისი, 2010,

http://www.finchannel.com/Main_News/Business/64380_18%25_of_Companies_in_Georgia_have_Foreign_CEOs/

²¹ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ეკონომიკური და კომერციული კონსულტანტის ოფისი, "შანხაი ჩინეთის ომისა და აშენებს ხუთვარსკვლავიან სასტუმროს "პარკ ჰაიატ თბილისი," 23 იანვარი, 2008,

<http://www.ge2.mof.gov.ge/ნარტიცლე/ცვინანეწს/20080105351681.3ტმლ>

²² ინტერვიუ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უცხოური პროექტების განყოფილების ხელმძღვანელთან, ლევან ქუთათელაძესთან, ივნისი 2011.

²³ საქართველოს საგზაო დეპარტამენტი, სტატია გამოქვეყნდა 2011 წლის 15 მარტს. <http://www.georoad.ge/?que=eng/home&info=1125>.

²⁴ საქართველოს რკინიგზა, საინფორმაციო ბროშურა თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის შესახებ, www.railway.ge/files/Proqtqebi/Eng/qr_scoping_brochure_eng.pdf.



რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი' პროექტს მხოლოდ ნაწილობრივ აფინანსებს; მისი სიტყვებით, დასავლურ ბანკს კონტრაქტის ჩინური კომპანიისთვის გადაცემის დიდი სურვილი არ ჰქონდა. მან თქვა, რომ ლობიერების კამპანიის პროცესში, ჩინურმა მხარემ იხმარა ფრაზა 'win-win' იმის გადმოსაცემად, თუ რას მოუტანდა კონტრაქტის განხორციელება როგორც საქართველოს, ისე ჩინეთს და მათ ურთიერთობას.

'Win-win situation' (სიტუაცია, რომელშიც ყველა მხარე მოგებულა) არის ფრაზა, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებს ჩინეთის მთავრობა და ჩინური საწარმოები, რათა განმარტონ ჩინეთის ეკონომიკური საქმიანობა დასავლეთში. ზოგიერთი ანალიტიკოსი შიშობს, რომ ჩინური კომპანიები და ჩინური საქონელი განვითარებად ქვეყნებში ზედმეტ კონკურენციას გაუწევენ ადგილობრივი მრეწველობის სხვადასხვა დარგებს, რაზედაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უცხოეთთან ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელმა მიხეილ ჯანელიძემ განაცხადა, რომ პირიქით, ჩინურ კომპანიებს აქვთ იმდენი გამოცდილება, რომ დახმარება გაუწიონ საქართველოს ეკონომიკის გარკვეული დარგების განვითარების საქმეში; საქართველოს მთავრობა დიდად არის დაინტერესებული მათი საქმიანობით.²⁵ ჯანელიძემ აღნიშნა, რომ ის ხედავს "უდიდეს პოტენციალს [საქართველო-ჩინეთის] ურთიერთობების გაღრმავებაში". ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, არჩილ კეკელიამ თქვა, რომ "ჩინეთის მთავრობამ დაამტკიცა ახალი ეკონომიკური გეგმა მომავალი ხუთი წლისათვის, რომელშიც ნათქვამია, რომ საზღვარგარეთ ინვესტიციების სახით უნდა ჩაიდოს რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი. ფონდის უდიდესი ნაწილი განსაზღვრულია აფრიკული სახელწიფოებისათვის, ხოლო ჩვენ

ყველანიარად ვცდილობთ მოვიზიდოთ ჩინური ინვესტიციები საქართველოში."²⁶

როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ვაჭრობა საქართველოსა და ჩინეთს შორის. 2010 წელს საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორთა შორის ჩინეთი მეხუთე იყო, ხოლო, 2011 წლის პირველ ნახევარში ჩინეთი გახდა მეოთხე უდიდეს სავაჭრო პარტნიორებს შორის და მას საქონელბრუნვაში წინ მხოლოდ თურქეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა უსწრებდნენ.²⁷ ჩინეთთან მიმართებაში სავაჭრო ბალანსი დაცული არ არის, თუმცა ჯანელიძის აზრით.

²⁶ რუსთავი 2, "ჩინელმა ინვესტორებმა შესაძლოა ინვესტიციები ჩაღონ საქართველოში," 4 აპრილი, 2011, http://www.rustavi2.com/news/includes/get_news_print.php?id_news=40974&ct=4.

²⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, "საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2010 წელს," http://geostat.ge/cms/site_images/files/english/bop/External%20Trade%20of%20Georgia%20in%202010-eng.pdf.

²⁵ ინტერვიუ მიხეილ ჯანელიძესთან, აგვისტო 2011.



ეს ნორმალურია, როცა საქმე ჩინეთთან გაქვს. მიუხედავად ამისა, ქართული ექსპორტი ჩინეთში მატულობს; 2010 წელს საქართველომ ჩინეთში ექსპორტის სახით გააგზავნა თითქმის 500 000 ევროს ღირებულების ღვინო, ასეთივე რაოდენობით ღვინის ექსპორტი განხორციელდა 2011 წლის პირველ ნახევარში.²⁸ ჩინეთს და საქართველოს დადებული არა აქვთ პრეფერენციული სავაჭრო ხელშეკრულება, თუმცა არსებობს საქართველო-ჩინეთის მთავრობათაშორისი კომისია სავაჭრო და ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელიც ბოლოს 2010 წლის დეკემბერში შეიკრიბა პეკინში.

ახლახან დანიშნული პირდაპირი საჰაერო რეისები თბილისსა და ჩინეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ურუმჩის შორის, ასევე ხელს შეუწყობს საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებას.²⁹ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვერა ქობალიამ, თბილისში გამართულ ბიზნეს-ფორუმზე აღნიშნა, რომ ეს რეისები არა მარტო გააძლიერებს ტურიზმს ჩინეთში, არამედ, ხელს შეუწყობს ქართულ საწარმოებს ჩინეთის ბაზრებზე გაიტანონ პროდუქცია.³⁰ საუბარია, ასევე, ჩინეთის ბანკის ფილიალის გახსნაზე თბილისში.³¹

²⁸ ინტერვიუ მიხეილ ჯანელიძესთან, აგვისტო 2011.


²⁹ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ეკონომიკური და კომერციული კონსულტანტის ოფისი, “შესრულდა პირველი პირდაპირი საჰაერო რეისი ჩინეთსა და საქართველოს შორის,” 10 ივნისი, 2011, <http://ge2.mofcom.gov.cn/aarticle/chinanews/201106/20110607599485.html>.

³⁰ ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, “საქართველო-ჩინეთის ბიზნეს-ფორუმი,” <http://www.investinggeorgia.org/?107/1704/>.

³¹ ნინო ედილაშვილი “საქართველო ეძიებს პარტნიორობას ჩინეთთან და ინდოეთთან,” 12 ნოემბერი, 2010, http://www.georgiatoday.ge/article_details.php?id=8437.



ნახაზი 1: ჩინეთ-საქართველოს ორმხრივი ვაჭრობის მოცულობა³²



³² 2005 და 2006 წლების მონაცემები არ არსებობს. წყარო: ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. http://www.fmprc.gov.cn/chn/gxh/cgb/zcgmzysx/vz/1206_10/1206x1/t6931.htm [ჩინურად], საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <http://www.geostat.ge/>.



IV. ჩინელი მიგრანტები

4.1 ეკონომიკური მიგრანტები

ეკონომიკური მიგრანტების პირველმა ნაკადმა საქართველოში შემოსვლა დაახლოებით 2003 წელს დაიწყო და მათ უმრავლესობას არანაირი კავშირი არ ჰქონდა თავიანთ თანამემამულე მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან. ისინი უმთავრესად მოედინებოდნენ ფუჯიანისა და ჟუჯიანის პროვინციებიდან. ორივე პროვინცია კი ცნობილია მისი მაცხოვრებლების განწყობით, წავიდნენ საცხოვრებლად დასავლეთში.³³ სწორედ მაშინ შეიძლება იმის დანახვა, თუ როგორ იხსნებოდა პირველი დამოუკიდებელი და პატარა ჩინური მაღაზიები, თუმცა, წლის ბოლოსათვის ჩინელი მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში 100-ზე ნაკლები იყო.³⁴

პროცესი დაჩქარდა მას შემდეგ, რაც მათ, ვინც წარმატებით აამუშავა მაღაზიები, დაიწყეს თავიანთი ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ნაცნობების საქართველოში მოწვევა. ასეთ ჯაჭვურ მიგრაციას ხელი შეუწყო, 2006 წელს ორი სავაჭრო ცენტრის - ჩინური საქონლის და ლილოს ჩინური ბაზრის გახსნამ. ჩინური საქონლის ცენტრი გახსნა ჩინელმა ემიგრანტმა იუ ჰუამ, ხოლო

ლილოს ჩინური ბაზარი კი - ჩინელი პარტნიორების ჯგუფმა, ტერიტორიის მფლობელ ქართველ ქალთან ერთად. ორივე შემთხვევაში საკუთრება დაყოფილი იყო უფრო პატარა ქვედანაყოფებად, რომლებსაც იჯარით სთავაზობდნენ ჩინელებს. ჩინური საქონლის სავაჭრო ცენტრში იყო დაახლოებით 50 სხვადასხვა მაღაზია, რომლებშიც 100 ჩინელი მომსახურე პერსონალი მუშაობდა. იუ ჰუას სიტყვებით, ამ ჩინელთაგან 90% იყო ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ჟუჯიანის პროვინციიდან, ხოლო დანარჩენი, მისი მოსაზღვრე ფუჯიანის პროვინციიდან. იუ ჰუა ეხმარებოდა ჩინელებს საქართველოში ჩამოსვლაში, რათა შემდეგ ისინი დახმარებოდნენ მას მაღაზიების მართვაში და უზრუნველყოფდა მათ იმიგრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციით. ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობის გამო, 2007 წელს ჩინური საქონლის სავაჭრო ცენტრი დაიხურა, ხოლო ზოგიერთმა ჩინელმა მოახერხა თავისი მაღაზიის ლილოში გადატანა. ლილოს ჩინური ბაზარი დღესდღეობით ისევ ფუნქციონირებს და წარმოადგენს საქართველოში შემოსული ჩინელი მიგრანტების შეკრების ადგილს.³⁵ 2010 წლის 19 დეკემბერს, ჩინეთის ელჩი ჩენ ჯიანფუ ესტუმრა ლილოს - შეხვდა მაღაზიის მფლობელებს, შეაქო ისინი საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილისათვის და სთხოვა მათ გაეგრძელებინათ თავიანთი საქმე.³⁶

ჟუჯიანის პროვინციიდან შემოსული ეკონომიკური მიგრანტების უმრავლესობა ქინგტიანის ოლქიდანაა. ჟუჯიანის პროვინცია არის წვრილმანი საქონლის წარმოების ცენტრი ჩინეთში, ხოლო მწირი რესურსების მქონე ქინგტიანის ოლქში არსებობს ისტორიული ტრადიცია იმისა, რომ მოსახლეობა იქიდან ხშირად მიდის

³³ ერთერთი მაღაზიის მფლობელის გადმოცემით, მასთან მივიდნენ 'სნეიკვლები' (ადამიანების ტრეფიკინგით დაკავებული პირები) და საქართველოში ჩინელების შემოსაყვან ვიზაში მოითხოვეს 50 000 - 60 000 RMB, რენმინბი (ჩინური ფულის ერთეული), რაც დაახლოებით უდრის (~5,500-6,500 ევროს). ამ მაღაზიის მფლობელმა აღნიშნა, რომ უშუალოდ საქართველოში შემოსასვლელად საჭირო დოკუმენტების ასაღებად გადახდილი ჰქონდა 20 000 RMB (~2 180 ევრო). მიუხედავად იმისა, რომ ვიზის ასაღებად დაწესებული შეზღუდვები განსაკუთრებულად მკაცრი არ არის, დაინტერესებულ პირებს ურჩევნიათ თვითონ აიღონ საჭირო დოკუმენტები. სხვა მაღაზიის მფლობელმა კი ამ კონკრეტული მიზნით 'სნეიკვლების' საქართველოში ჩამოსვლა საეჭვოდ მიიჩნია.

³⁴ ჯონ ჰადსონი, "მარტივი საგნებიდან ურთულეს ტელეკომუნიკაციებამდე: ჩინური კომერციის აღქმა საქართველოში," 2008, http://www.investor.ge/issues/2008_5/02.htm.

³⁵ სინამდვილეში ამ ადგილს ჰქვია 'ლილო-სითი' და განსაკუთრებით აქტიურია ოთხშაბათობით და შაბათობით.

³⁶ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, "ჩინეთის ელჩი ჩენ ჯიანფუ, თბილისი; ლილოს ბაზრობის მოვაჭრეები," 19 დეკემბერი, 2010, <http://ge.china-embassy.org/chn/xwdt/t779361.htm>.



საზღვარგარეთ ემიგრაციაში.³⁷ ქინგტიანი ჯერ კიდევ ეკონომიკურად განვითარებადი ოლქია; აქ მხოლოდ 1998 წლიდან ავიდა საშუალო შემოსავლის მაჩვენებელი სიღარიბის ზღვარს ზემოთ. ამ ოლქიდან დასავლეთის ქვეყნებში ჩასული მაღალი ანაზღაურების მქონე ბიზნესმენების რიცხვი მატულობს, თუმცა, საქართველოში მცხოვრები ქინგტიანელი მიგრანტები ჩვეულებრივ კმაყოფილდებიან იმით, რომ ჩინეთში დარჩენილ თავიანთ ოჯახებს უგზავნიან მინიმალური ოდენობით ფულად გზავნილებს.³⁸ მათი განათლების დონე სხვადასხვაა: ზოგიერთი მაღალი მფლობელი, რომელიც საქართველოში ნაცნობებმა ჩამოიყვანეს, ახალი სკოლადამთავრებულია, ზოგი უფრო ასაკოვანი კი, აქ სიღარიბემ ჩამოიყვანა და მას არანაირი განათლება არა აქვს მიღებული.

ღენ ჰაიბინგი, ჟეჯიანგის თანასოფელთა ასოციაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი, საზღვარგარეთ წასვლამდე მშენებლობაზე მუშაობდა მუშად - ისევე, როგორც კიდევ ერთი გამოკითხული წყვილი ფუჯიანის პროვინციიდან. არიან ზოგიერთები, რომლებიც საქართველოში ჩამოსვლამდე ჩინეთში სხვადასხვა საქონლით ვაჭრობდნენ. ქინგტიანის მცხოვრებნი საკუთარ დიალექტზე საუბრობენ და საქართველოს ჩინურ ბაზრებზე მათი სიმრავლე საშუალებას აძლევთ, ყოველდღიურად გამოიყენონ მშობლიური ენა.

2007 წლისათვის საქართველოში სულ 700-ზე მეტი ჩინელი ცხოვრობდა, მათგან დაახლოებით 200 ჩინელი - ჟეჯიანგიდან.³⁹

³⁷ ქინგტიანელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი საზღვარგარეთ ცხოვრობს. ისინი გაფანტულნი არიან 176 ქვეყანაში, ძირითადად დასავლეთ ევროპაში. წყარო: ლინ შუჯუანი, “სამშობლოში დაბრუნება”, *China Daily*, 2 მარტი, 2010, http://www.chinadaily.com.cn/life/2010-03/02/content_9524352.htm.

³⁸ ჟანგ ქსიუმინგი, “ფულადი გადარიცხვები, შემოწორულობები და ინვესტიციები ქინგტიანის ოლქში 1978 წლიდან,” ნაშრომში: *ჩინათაუნის გარეთ: ახალი ჩინური მიგრაცია და ჩინეთის გლობალური გაფართოება*, Mette Thunø, 2007.

³⁹ საელჩოს ვებ-გვერდი, ასევე, ჯონ ჰადსონი, “From Trinkets to Telecom,” 2008, http://www.investor.ge/issues/2008_5/02.htm.

იმავე წლის აგვისტოში, შეიქმნა ჟეჯიანგის თანასოფელთა ასოციაცია - რაც სავარაუდოდ დაკავშირებული იყო ორი კვირით ადრე ჟეჯიანგის გუბერნატორის საქართველოში ვიზიტთან. ის სპეციალურად ესტუმრა ლილოს ჩინურ ბაზარს.⁴⁰ ასოციაციის ინაუგურაციის ცერემონიაზე, არჩეულმა პრეზიდენტმა ქიუ ჩუნგუანმა განაცხადა, რომ ასოციაციის პირველად მიზანს წარმოადგენდა ჟეჯიანგის მკვიდრთა კავშირებისა და კულტურული თვითშეგნების გაძლიერება, რაც დაეხმარება მის წევრებს ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში, ხოლო, ჩინეთსა და მათ მშობლიურ პროვინციას - წინსვლაში. შეხვედრას ესწრებოდნენ საელჩოს მრჩეველი და ჩინეთის კონსული. ქიუ ჩუნგუანი, ისევე, როგორც მისი ამჟამინდელი შემცვლელი, ქინგტიანის მკვიდრია.⁴¹

ინტერვიუში ყველამ განაცხადა, რომ მიგრაციამ პიკს 2008 წელს მიაღწია, მას შემდეგ, მცირე ბიზნესისათვის ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ბევრმა ჩინელმა დატოვა ქვეყანა. 2009 წლის ბოლოს საქართველოში ჩინეთის საელჩოს ეკონომიკური და კომერციული განყოფილების მრჩეველმა, ჩენ რანიანმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ამის მიზეზი ნაწილობრივ გლობალური ფინანსური კრიზისი და ომის შემდგომ საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა იყო. მისი გადმოცემით, “2009 წლის განმავლობაში საქართველოში იმპორტირებული ჩინური პროდუქციის ოდენობა 50%-ით შემცირდა. საქართველოში მოსახლეობის საერთო მყიდველუნარიანობა მკვეთრად დაეცა. ამან გამოიწვია ბევრი ჩინელი საცალო მოვაჭრის გაკოტრება.”⁴² ჩინური საქონლის

⁴⁰ “ჟეჯიანგის პროვინციის ვიცე-გუბერნატორის ვიზიტები საქართველოში,” 6 სექტემბერი, 2007, <http://tieba.baidu.com/f?kz=259384536> [ჩინურად].

⁴¹ სახელმწიფო საბჭოს ჩინეთის საქმეთა საზღვარგარეთის ოფისი, “საქართველოში დაფუძნებული ჟეჯიანგის ასოციაცია: ქიუ ჩუნგუანმა პირველი პრეზიდენტი აირჩია,” 17 აგვისტო, 2007, <http://www.gqb.gov.cn/news/2007/0817/1/6265.shtml> [ჩინურად].

⁴² მაღონა ჰასანოვა, “საქართველოში ყვავის ჩინური ბიზნესი,” 19 ოქტომბერი, 2009, http://www.finchannel.com/Main_News/Business/49736_Chinese_Businesses_Booming_in_Georgia/



კონტინენტურულ გადაზიდვებზე მომატებულია გადასახადებმა და საბაჟოს ხელძღვანელ პირთა მიერ “გაბერილმა საინსპექციო მოსაკრებლებმა”, ასევე, ხელი შეუწყო წარუმატებლობას.⁴³

წასულების ნაცვლად ქვეყანაში შემოვიდნენ ახალი ჩინელი მიგრანტები, თუმცა მაღაზიის ის მფლობელები, რომლებიც საქართველოში 2009 წლამდე შემოვიდნენ, ამტკიცებენ, რომ 2009 წლის ბოლოსათვის მათი რაოდენობის კლება დაიწყო. ჩინელ მაღაზიის მფლობელთა რაოდენობის შემცირების კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ბაზარზე არსებული სიტუაცია. კრიზისმა ცხადყო, რომ ერთმანეთის სიახლოვეს ერთნაირი ტიპის მრავალი მაღაზიის არსებობა არაეფექტურია. იყო დრო, როდესაც აღმაშენებლის გამპირზე გახსნილი იყო ექვსი ჩინური მაღაზია, ამჟამად იქ მხოლოდ ორია. “მას შემდეგ რაც ის მაღაზიები დაიხურა, ჩვენთან იმატა მყიდველების რიცხვმა”, თქვა ინტერვიუში 2009 წელს ერთ-ერთმა მაღაზიის მფლობელმა.⁴⁴

კიდევ ერთი მაღაზიის მფლობელი, რომელიც საქართველოში 2004 წელს ჩამოვიდა, ამტკიცებს, რომ ბიზნესის ვარდნის მიზეზი ჩინური მაღაზიების სიმრავლეა.⁴⁵ გარდა მაღაზიის დახურვისა და საქართველოს სამუდამოდ დატოვებისა, ერთ-ერთი პასუხი ‘ბაზარზე არსებულ სიტუაციასთან’ დაკავშირებით შეიძლება ყოფილიყო საქართველოს ფარგლებში გეოგრაფიული გაფართოვება. ჩინურ მაღაზიებს ახლა შეხვედებით ახალციხეში, ზუგდიდსა და ლაგოდეხში. თბილისში ერთ-ერთმა მაღაზიის მფლობელმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ადგილობრივი მეორადი საქონლის მაღაზიების სიმრავლის გამო დედაქალაქში ბიზნესის კეთება რთულია. ხოლო, მაღაზიის პატრონის თანაშემწემ

ფუჯიანიდან, რომელიც ახლა აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე ქ. ლაგოდეხში მუშაობს, თქვა, რომ დაბალი საიჯარო გადასახადების გამო სოფლად ნაკლებია ზეწოლა.⁴⁶ ლენ ჰაიბინგმა დაადგინა, რომ 2011 წლის შუა პერიოდში საქართველოში ცხოვრობს დაახლოებით 600 ჩინელი მაღაზიის მფლობელი და კიდევ ისინი, ვინც წვრილმანი საქონლის საცალო ვაჭრობითაა დაკავებული.⁴⁷

4.2 ჩინელი მუშები

ამ დროისათვის ჩინური კომპანიები ქვეყანაში ახორციელებენ სამ მსხვილმასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტს. საქართველოში კორპორაცია ‘სინოჰიდროს’ მენეჯერის მოადგილის სიტყვებით, ამჟამად, რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციის პროექტზე მუშაობს დაახლოებით 60 ჩინელი და 140 ქართველი მუშა. აჭარის შემოვლითი გზის მშენებლობაზე კი დაახლოებით 100 ჩინელი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ამტკიცებს, რომ უცხოელმა კონტრაქტორებმა უნდა გამოიყენონ ადგილობრივი მუშახელის სულ მცირე 70%. ეს არის პოლიტიკა, რომლის განხორციელებაც მოწმდება დროგამოშვებით სამუშაო ადგილზე სამინისტროს წარმომადგენლის სტუმრობით.⁴⁸ რიკოთის გვირაბის პროექტის განხორციელება უკვე სრულად ამოქმედდა, ხოლო, აჭარის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტი კი, საწყის ფაზაშია. საბოლოოდ მის განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს დაახლოებით 1000-მა მუშამ, რომელთაგან უმრავლესობა ადგილობრივი იქნება. ჩინელი და ქართველი მუშები მხარდამხარ შრომობენ და ‘სინოჰიდროს’ მენეჯერის მოადგილის სიტყვებით - ამ დრომდე მათ შორის არსებობს შესანიშნავი დამოკიდებულება. ჩინელი მუშები ცხოვრობენ სამუშაო ადგილზე აშენებულ დროებით საცხოვრებელ კომპლექსებში, რომლებიც პროექტების დასრულების შემდეგ დაიშლება. მანვე აღნიშნა, რომ კომპანიას აქვს მკვეთრად

⁴³ ინტერვიუ დიდუბის ბაზრობის მოვაჭრესთან და ჯონ ჰადსონთან, “ჩინური კომერციის აღქმა საქართველოში,” 2008, http://www.investor.ge/issues/2008_5/02.htm.

⁴⁴ მადონა ჰასანოვა, “საქართველოში ყვავის ჩინური ბიზნესი,” 19 ოქტომბერი, 2009, http://www.finchannel.com/Main_News/Business/49736_Chinese_Businesses_Booming_in_Georgia/

⁴⁵ ინტერვიუ მაღაზიის მფლობელთან, ივლისი, 2011.

⁴⁶ ინტერვიუ მაღაზიაში დამხმარესთან, ივლისი 2011.

⁴⁷ ინტერვიუ ლან ჰაიბინგთან, მაისი 2011.

⁴⁸ ინტერვიუ ლევან ქუთათელაძესთან, ივნისი 2011.



გამოხატული პოლიტიკა, მაქსიმალურად გამოიყენოს ადგილობრივი ადამიანური რესურსი.⁴⁹ ორივე პროექტის დასრულება 2012 წლისათვის არის დაგეგმილი.

რიკოთის გვირაბისა და აჭარის შემოვლითი გზის პროექტებისგან განსხვავებით, რომლებსაც მთავრობა აფინანსებს, ხოლო კონტრაქტები გაფორმებულია შესყიდვების შესახებ კანონის მიხედვით, მესამე პროექტი თბილისის შემოვლითი რკინიგზის შესახებ ხორციელდება 1999 წლის FIDIC –ის მიერ (კონსულტანტ ინჟინერთა საერთაშორისო ფედერაცია) ყვითელ წიგნში მოცემული კონტრაქტის პირობების შესაბამისად. ის არ უყენებს მოთხოვნებს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფს⁵⁰ დაქირავებულ მუშებთან და ქვეკონტრაქტორებთან მიმართებაში; პროექტისზე ამჟამად საქართველოში მუშაობს დაახლოებით 400-მდე ჩინელი თანამშრომელი და მუშა, აგრეთვე, დაქირავებულია 600 ქართველი მუშა. საქართველოს სახელმწიფო რკინიგზის კომპანია, 'საქართველოს რკინიგზის' (შპს) ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა, რომ ის შემფორმებულია ამ ციფრებით და მისი უწყება ცდილობს, გაზარდოს ჩინური კომპანიის მიერ ადგილობრივი მუშახელის გამოყენება იდეალურ მაჩვენებელამდე - 70%-მდე.⁵⁰

მანვე აღნიშნა, რომ 'ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფს', კონტრაქტორს, აქვს მართვის დასავლური კომპანიებისაგან სრულიად განსხვავებული სტილი. ის ყურადღებას ამახვილებს არა პროცედურებზე, ზუსტ დაგეგმვაზე ან თუნდაც უსაფრთხოების ზომებზე, არამედ, მკაცრად განსაზღვრულ შედეგებზე. კომპანიამ შეძლო სამუშაოს ძალიან სწრაფად დასრულება, თუმცა ეს მოხდა შრომის პირობების გაუარესების ხარჯზე, რაც განხილული იქნება ქვემოთ, ამ სტატიაში.

სამუშაო გუნდი გაყოფილია ქართველ და ჩინელ მუშებად. ჩინელი მშენებლობის მუშები, რომელთა რაოდენობა 200-მდეა,

საქართველოში 2011 წლის დასაწყისში ჩინეთის სამხრეთით მდებარე ჰუნანის პროვინციიდან ჩამოიყვანეს. მათი ასაკი და განათლების დონე სხვადასხვაა და ისინი საქართველოში ნებაყოფლობით თავიანთი ოჯახებისათვის ფულის საშოვნელად ჩამოვიდნენ, ან უცხო ქვეყნის გასაცნობად. რკინიგზის პროექტი სავარაუდოდ 2013 წელს უნდა დასრულდეს, რის შემდეგაც ყველა ჩინელი მუშა დატოვებს ქვეყანას. სამივე აღნიშნულ პროექტში, მმართველი გუნდი, ინჟინრები და სხვა სპეციალისტები უმთავრესად ჩინელები არიან. ისინი ქართველ კოლეგებთან ურთიერთობისათვის იყენებენ ინგლისურ ენას ან თარჯიმნებს.⁵¹

მთლიანობაში, კონტრაქტის საფუძველზე მომუშავე ჩინელი მუშების რაოდენობა 400-ზე ნაკლებია. ამ მუშათაგან, სავარაუდოდ, არავინ მონიღომებს კონტრაქტის დასრულების შემდეგ საქართველოში დარჩენას. ამ დროისათვის, ისინი შეადგენენ საქართველოში მცხოვრები ჩინელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს - მათ ჩაანაცვლეს ის ჩინელი ეკონომიკური მიგრანტები, რომლებმაც ბოლო წლებში დატოვეს საქართველო, იმის გამო, რომ ვერ ააწყვეს ბიზნესი და ვერ მიიღეს სარგებელი.

V. ყოველდღიური ცხოვრება და ინტეგრაციის საკითხები

5.1 ცხოვრება საქართველოში

საქართველოში ჩინელების ცხოვრება შეიძლება მკვეთრად განსხვავებული იყოს, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რას საქმიანობენ ისინი, არიან ბიზნესმენები, კომპანიის თანამშრომლები, ეკონომიკური მიგრანტები თუ მშენებლობაზე მომუშავეები. მათი ცხოვრება განსხვავდება არა მარტო ეკონომიკური და სოციალური პირობების, არამედ ინტეგრაციის დონის, მათი თვალთახედვის და მოწყვლადობის მიხედვით.

⁴⁹ ინტერვიუ 'სინოჰიდროს' მენეჯერის მოადგილესთან საქართველოში, ივნისი, 2011.

⁵⁰ ინტერვიუ საქართველოს რკინიგზის შესყიდვების განყოფილების უფროსის მოადგილესთან, ივლისი, 2011.

⁵¹ ინტერვიუ 'სინოჰიდროს' მენეჯერის მოადგილესთან და ინტერვიუ ლევან ქუთათელაძესთან, ივნისი და ივლისი, 2011.



მაგალითად, ეკონომიკური მიგრანტების უმრავლესობა არ არის დაინტერესებული ინტეგრაციით. ისინი თითქმის არ ფლობენ ქართულს, იციან მხოლოდ იმდენი, რამდენიც სჭირდებათ მომხმარებელთან კომერციული ურთიერთობისათვის. ახლო ურთიერთობას ინარჩუნებენ მხოლოდ თავიანთ თანამემამულე ჩინელებთან. რეგიონებში თითქმის ყველა მათგანი სამუშაოდ იყვანს ადგილობრივ ქართველებს, ძირითადად ქალებს. მაღაზიაში ჩინელი მეპატრონე უდიდეს დროს ატარებს კომპიუტერთან და ამით ცდილობს დროის გაყვანას. ლილოს ჩინურ ბაზარზე ზოგიერთი ჩინელი ცხოვრობს იმ სასაწყობე ნაგებობაში, სადაც თავისი საქონლით ვაჭრობს. ბევრს ძალიან უჭირს შეგუება დიეტასთან, რომელიც ყველისა და პურისგან შედგება და თვითონ იმზადებს ჩინურ საჭმელს. მაღაზიებს შორის დაინახავთ პატარა ბავშვებსაც, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არიან დაბადებულნი, აგზავნიან ჩინეთში ასაკოვან ნათესავებთან, რაც უცხოეთში მცხოვრები ჩინური ოჯახებისთვის მიღებულია.

იმასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე, თუ რას აპირებენ მომავალში, მაღაზიის ყველა მფლობელმა განაცხადა, რომ არ გააჩნიათ ქვეყანაში დარჩენის გრძელვადიანი გეგმა. მათაც კი, ვინც საქართველოში უკვე ექვსი წელია ცხოვრობს, განაცხადეს, რომ ერთ-ორ წელიწადში გეგმავენ ჩინეთში დაბრუნებას. მათ კი, ვისაც არა აქვს დადგენილი დაბრუნების თარიღი, თქვეს, რომ ეს დამოკიდებულია საკუთარი ბიზნესის წარმატება/წარუმატებლობაზე. “მე წავალ იქ, სადაც შევძლებ ფულის შოვნას,” - ასეთია ბევრი ეკონომიკური მიგრანტის განწყობა, რომელიც თავის ცხოვრებას საქართველოში უყურებს როგორც წმინდა კომერციულ საქმიანობას.

მათი ‘სოციალური განცალკევება’ უცხო არ არის საქართველოსთვის; მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არის გამონაკლისი შემთხვევები, ბევრ განვითარებად ქვეყანაში, სადაც ცხოვრობს ჩინელი მეწარმე მიგრანტების საზოგადოება, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ვინაიდან ქვეყნები თავად ავლენენ მცირე ინტერესს ჩინელების სოციალური, ინტეგრაციის მიმართ, რაც არ გულისხმობს მათ პოლიტიკურ სისტემაში

ჩართვას.⁵² ძირითადად აქ საუბარია ეკონომიკურ მიგრანტებზე, რომელთა განათლების დონე უფრო დაბალია, ვიდრე მათი ინვესტორების და ბიზნეს-პარტნიორებისა. საერთოდ, რაც უფრო მაღალია სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი - რაც უფრო კარგად ფლობს ის რუსულ ან ინგლისურ ენებს და აინტერესებს ქართული კულტურა, მით უფრო ადვილია მისი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში.

მაგალითად, არიან მცირე რაოდენობით ჩინელი ბიზნესმენები და მიგრანტები, რომლებიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ საქართველოში. მათი უმრავლესობა გარკვეულ დონეზე ფლობდა რუსულ ენას და დადასტურებულია, რომ ამათგან რვამ ქართველი ქალი მოიყვანა ცოლად. ამ რვიდან ექვსს ჰყავს ბავშვები, რომლებიც ახლა საქართველოს მოქალაქეები არიან. ეს მნიშვნელოვანი რაოდენობაა, თუ გავითვალისწინებთ, რა მცირერიცხოვანია აქ ჩინელთა საზოგადოება. ერთი ოჯახი დაბრუნდა ჩინეთში, ერთიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს - დანარჩენები კი ალბათ არჩევენ საქართველოში დარჩენას და ახალ ოჯახებს ჩინეთში არ წაიყვანენ საცხოვრებლად.⁵³

მშენებლობის მუშებისათვის, რომლებიც მხოლოდ სამუშაოდ არიან ჩამოსული და ქვეყანას დატოვებენ მაშინვე, როგორც კი მათი კონტრაქტი, ან მათი პროექტი დასრულდება, საქართველოში ცხოვრება ძალიან განსხვავებულია. ჩინელ ეკონომიკურ მიგრანტებს უხდებათ ურთიერთობა ქართველ მომხმარებლებთან და ამიტომ, თითქმის ყველა სწავლობს საჭირო ფრაზებს ქართულად - მშენებელ მუშებს კი ამგვარი სტიმული არ გააჩნიათ. ჩვეულებრივ, ისინი მიეკუთვნებიან დაბალ სოციალურ ფენას და არ ფლობენ უცხო ენებს, არც რუსულს, არც ინგლისურს. ბევრ მათგანს

⁵² ადგილი ჰქონდა კუროლზე მცდელობას ჩინური მაღაზიები გამოეყენებინათ წმინდა კომერციული ურთიერთობის დასამყარებლად ადგილობრივ მოსახლეობასთან კეიპ ვერდეში, აფრიკაში, სადაც ‘სამშვიდობო კორპუსის’ მოხალისეები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია შეეცადნენ პრეზერვაციების გაგრძელებას მათ ჩინურ მაღაზიებში შეტანის გზით, სადაც მომხმარებლის ანონიმურობა უფრო საიმედოდ იქნებოდა დაცული

⁵³ ინტერვიუ ლიანგ იუგანგთან, ივნისი 2011.



უჭირს ქართულ სამზარეულოსთან შეგუება. ერთმა ჯგუფმა აღწერა, თუ როგორ სცადეს გაეხინჯათ პური, მაგრამ აღმოაჩინეს, რომ ის საშინლად უგემურია. საკვების მოსამზადებლად კომპანია ქირობს ჩინელ მზარეულს თავიანთი მშობლიური პუნანის პროვინციდან. მშენებელი მუშების უმრავლესობას არა აქვს უცხო ქვეყანაში ცხოვრების გამოცდილება.

მუშების სამუშაო პირობები მძიმეა. თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის სამუშაო დღე გადის მძიმე შრომაში და გრძელდება 11-12 საათს, რის შემდეგაც მუშები მიდიან სამუშაო ადგილთან ახლოს მდებარე სახლებში და იძინებენ თვითნაკეთ საწოლებში. ისინი საქართველოში ჩამოიყვანეს ისე, რომ წინასწარ ხელი არ მოუწერიათ ოფიციალურ კონტრაქტზე, ამიტომ იძულებულნი არიან დაემორჩილონ თავიანთი დამქირავებლის უსაფუძვლო მოთხოვნებს. 2011 წელს სამი თვის განმავლობაში მათ ხელფასს არ უხდიდნენ, მიზეზად კი ჩინეთის კინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის ფინანსურ პრობლემები დასახელდა. გარდა ამისა, მათ მხოლოდ ახლა აცნობეს, რომ ყოველთვიურად ხელფასიდან დაუკავებენ 20%-ს, რასაც ისინი მიიღებენ მხოლოდ პროექტის დასრულების შემდეგ. სხვა სიტყვებით, მათი გამომუშავებული ფულის 20%-ს ისინი ორი წლის განმავლობაში თვალთ ვერ ნახავენ. მუშებმა ამ საკითხის მოსაგვარებლად მიმართეს ჩინეთის საელჩოს. ისინი ასევე ვერ სარგებლობენ საჭირო სამედიცინო მომსახურებით ან დაზღვევით, ქართული ენა კი არ იციან იმ დონეზე, რომ თვითონ იშოვონ საქართველოში წამალი. ასეთ შემთხვევებში, შესაძლებელი უნდა იყოს ჩინური ბიზნესის პრაქტიკის შემოწმება და ის უნდა წარიმართოს, სულ მცირე, საქართველოს შრომის კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ჯერჯერობით საქართველოს ეკონომიკას არ გააჩნია 'ეთნიკური სამსახურის' სექტორი ჩინელებისათვის. ძნელია ჩინური საკვები პროდუქტების შოვნა, გარდა იმისა, რაც შემოაქვთ პირებს, რომლებიც ინტენსიურად სტუმრობენ ჩინეთს. ერთი რესტორნის მზარეული ჩინური კერძების მოსამზადებლად ხანდახან იყენებს აქ მცხოვრები ჩინელი ოჯახის მიერ საკუთარ ეზოში მოყვანილ ბოსტნეულს.

5.2 ქართველების დამოკიდებულება

ჩინელი მიგრანტების აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უყურებენ და ექცევიან მათ ქართულ საზოგადოებაში, სხვადასხვაგვარია, იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის რესპონდენტი. ლილოში მცხოვრები იზოლირებული ჩინელებიდან ბევრი რესპონდენტი არ განიცდის დისკრიმინაციას ან ცუდ მოპყრობას ქართულ საზოგადოებაში. თუმცა, მაღაზიის მფლობელნი და ბაზრის მოვაჭრეები, რომლებიც ლილოს ფარგლებს გარეთ მუშაობენ და ყოველდღიურად უფრო ახლო ურთიერთობაში არიან ქართველებთან, გრძნობენ გარკვეული ხარისხის რასიზმს. როდესაც ერთ-ერთ ქუჩის მოვაჭრეს, რომელიც დიდუბეში ყიდა თავის საქონელს, ჰკითხეს ქართველების დამოკიდებულების შესახებ, მან მაშინვე უპასუხა, რომ 'ჩინელებს აქ არანაირი სტატუსი არა აქვთ' და საუბარში ახსენა ერთი ნაცნობი ჩინელი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჩინეთში ამგვარი მოქცევა გახდებოდა ჩხუბის ან ვინმეს მკვლელობის მიზეზიც კი.

რესპონდენტის სიტყვებით, იმის გამო, რომ ჩინური საქონელი ქართველებს შორის უმეტესად დაბალი რეპუტაციით სარგებლობს და ის უხარისხოდ ითვლება, ის იძულებულია ფასები დაბლა დასწიოს, რათა ეს საქონელი კონკურენტუნარიანი გახადოს.⁵⁴

მან უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველი ან ბოშა მოვაჭრეები ხშირად თავიანთ ჩინურ საქონელს თურქულ ნაწარმად ასაღებენ და შეუძლიათ უფრო დიდი ფასი დაადონ მას. მისი სიტყვებით, იმის გამო, რომ მათ არ იციან ქართული ენა, იძულებულნი არიან პასიურები იყვნენ დისკრიმინაციის მიმართ. შემდეგ მან დააზუსტა თავისი ნათქვამი და აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარი სრულიად ცოლერანტულია.⁵⁵ მეორე მოვაჭრემ კი, რომელსაც მაღაზია დილოში აქვს გახსნილი, და რომელიც მანამდე

⁵⁴ პირად საუბრებში, ზოგიერთმა ქართველმა გამოხატა უკმაყოფილება ქვეყანაში ჩინური მაღაზიების რიცხვის ზრდის გამო - უმეტესად ამ უკმაყოფილებების მიზეზად ასახელებდნენ მათი საქონლის დაბალ ხარისხს.

⁵⁵ ინტერვიუ ქუჩის მოვაჭრესთან თბილისში, მაისი 2011.



ჩრდილოეთ აფრიკაში მსახურობდა, გამოთქვა მსგავსი აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინელებს 'არ გააჩნიათ სტატუსი' და უცხო ქვეყნებში ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დაცინვის საგანს წარმოადგენენ.⁵⁶ როგორც ერთმა მაღაზიის მფლობელმა აღნიშნა, თავდაპირველად ქართველები მიესალმებოდნენ ჩინელების ჩამოსვლას, როგორც უცნაურ სიახლეს, მაგრამ როცა მათი რიცხვი გაიზარდა, ისინი გაღიზიანდნენ.⁵⁷ უცნობია, თუ როგორ უყურებენ ქართველები ჩინელი მშენებელი მუშების ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოსვლას. იმის გამო, რომ ეს მუშები უმთავრესად მშენებლობის ადგილებზე რჩებიან, ქართველებისათვის ცნობილი არ არის ქვეყანაში მათი ყოფნის შესახებ.

ქართველებისათვის ქსენოფობია დამახასიათებელი არ არის, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ მათ არ გააჩნიათ ანტი-იმიგრაციული განწყობა. 2008 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში დაიბეჭდა ციტატა ქართველი მშენებელი მუშის საუბრიდან: "მე ვარ ქართველი კაცი და ვარ ქრისტიანი, მაგრამ მაინც წინააღმდეგი ვარ მათი. . . ვხედავ, თუ როგორ მუშაობენ ქართველი ქალები მათ მაღაზიებში და დამცირებულად ვგრძნობ თავს - დამცირებულად იმიტომ, რომ მთავრობა გვიკეთებს ამას."⁵⁸

გავრცელებულია აზრი თითქოს საქართველოს მთავრობა აქტიურად უწყობს ხელს ჩინელების მიგრაციას, თავად ჩინელები კი ფულს უხდიან ქართველებს მათზე დაქორწინებისათვის და ამ გზით იღებენ საქართველოს მოქალაქეობას. 2008 წლის ივლისში "პირველი არხის" გადაცემა 'კედელში', რომელიც ეხებოდა უცხოელების ყოფნას საქართველოში, ერთმა ქალმა აღნიშნა: "ჩინელები ძალიან ხშირად ხდებიან საქართველოს მოქალაქეები, რასაც აღწევენ ქართველებზე დაქორწინების გზით. ჩინელები საქართველოს მოქალაქეებს 7000 აშშ დოლარს უხდიან მათზე დაქორწინებისათვის - ეს არის ჭორი, რომელიც მე გავიგე."⁵⁹

⁵⁶ ინტერვიუ მაღაზიის მფლობელთან, მარტი, 2011.

⁵⁷ მან გაიხსენა შემთხვევა თბილისის აეროპორტში, როდესაც დაინახა თუ როგორ შეაფურთხეს ჩინელს, მისი, 2011.

⁵⁸ ჯონ ჰადსონი, "From Trinkets to Yelecom," 2008, http://www.investor.ge/issues/2008_5/02.htm.

⁵⁹ იქვე.

გაუგებარია, საიდან მოდის ეს ჭორები, მაგრამ ჩინელი ბიზნესმენების ქართველ ქალებზე დაქორწინების ყველა ცნობილ შემთხვევაში, მამაკაცები ყოველთვის ინარჩუნებდნენ ჩინეთის მოქალაქეობას. სხვა დაუსაბუთებელი ჭორები ეხება საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინელები, მიწის მოთხოვნისათვის განცხადებაში თავიანთ გვარებს ამატებენ ქართული გვარების დაბოლოებას "შეილი". ამ ბოლო დროს არსებობს ტენდენცია, რომ გადაჭარბებით შეაფასონ ქვეყანაში შემოსული ჩინელების რაოდენობა, რასაც ზოგიერთი ჩინელიც კი იზიარებს.⁶⁰

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარდა მაღაზიის მფლობელებისა და საცალო ვაჭრობით დაკავებული ჩინელი ბიზნესმენებისა, კომპანიის თანამშრომლებსა და რესტორანში მომუშავეებსაც კი, ქართველებთან ურთიერთობაში ან ქართულ საზოგადოებაში ცხოვრებასთან დაკავშირებით არა აქვთ არანაირი პრობლემა. "ჩინელ ბიზნესმენებს ამ ბოლო დროს არ ჰქონიათ არანაირი პრობლემა ქართულ ბაზარზე შემოსვლისას. საქართველოში ბიზნესის გარემო კარგია. ქართველებს და ჩინელებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ," - აღნიშნა საქართველოში ჩინეთის საელჩოს ეკონომიკურმა მრჩეველმა ჩენ რანიენმა.⁶¹ სატელეკომუნიკაციო პროდუქციის მწარმოებელი ჩინური კომპანია ZTE - ის მთავარმა წარმომადგენელმა საქართველოში, სან ჩენგმა თქვა, რომ თავიდან მათ უყურებდნენ როგორც პატარა კომპანიას, რომელიც ცდილობდა გაეყიდა თავისი დაბალი ხარისხის პროდუქცია, მაგრამ დღეს ZTE არის ქვეყანაში ყველა ქართული მსხვილი სატელეფონო მომსახურების

⁶⁰ ერთ შემთხვევაში, სადილობისას, ჩინელი ბიზნესმენი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსანი დანიძლავდნენ იმაზე, თუ რამდენი ჩინელი იყო ქვეყანაში. ქართველი მაღალჩინოსნის აზრით ქვეყანაში იმყოფებოდა 5 000 ჩინელი. შესაბამის უწყებაში დარეკვისას აღმოჩნდა, რომ მათი რიცხვი 1 400-ს უდრიდა. მეორე შემთხვევაში ჩინური ტელეკომის წარმომადგენელმა მათი რაოდენობა 3 000-ით განსაზღვრა.

⁶¹ მაღონა ჰასანოვა, "საქართველოში ყვავის ჩინური ბიზნესი," 19 ოქტომბერი, 2009, http://www.finchannel.com/Main_News/Business/49736_Chinese_Businesses_Booming_in_Georgia/



ოპერატორის პარტნიორი. მანვე აღნიშნა, რომ იმ ჩინელებს, რომლებიც ჩართულნი არიან ფართომასშტაბიან ბიზნესში და შემოაქვთ მსხვილი ინვესტიციები, ძალიან კარგად ეპყრობა, როგორც მთავრობა, ისე ქართველი ხალხი.⁶² ლიუ გუანგვენმა, რომელიც საქართველოში 1958 წლიდან ცხოვრობს, ასევე თქვა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მას არ ახსოვს ეთნიკური დისკრიმინაციის არც ერთი ფაქტი, და როგორც წესი, ქართველები გამოხატავენ თავიანთ პატივისცემას ჩინური კულტურის მიმართ.⁶³

5.3 რეგისტრაცია და პოტენციური პრობლემები

2006 წელს ჩინელი მიგრანტები შეადგენდნენ საქართველოში დროებითი ცხოვრების ნებართვის მისაღებად განმცხადებლების 11%-ს. ეს იყო მეორე დიდი ჯგუფი თურქი მიგრანტების შემდეგ, რომელთა რაოდენობაც იყო 892 ან 54%.⁶⁴ 2009 წლის მარტიდან კანონი მიგრანტებისგან ითხოვდა რეგისტრაციის გავლას იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიღებას. იმისათვის, რომ ქვეყნიდან გასვლისას გადაკვეთო საზღვარი და გაიარო მესაზღვრეების შემოწმება, საჭიროა პირადობის მოწმობის აღება. კანონის მიხედვით, რეგისტრაცია უნდა გაიაროს საქართველოში მყოფმა ყველა ჩინელმა, ვისაც ეს აქამდე არ გაუკეთებია ინფორმაციის არქონის გამო.

საქართველოში რეგისტრაციის პროცედურის გავლის შემდეგ, თავდაპირველად პირს ეძლევა ერთწლიანი ცხოვრების უფლება, რის შემდეგაც მიგრანტს შეუძლია კიდევ ორი წლით მისი გაგრძელება, ხოლო მესამედ კი - არა უმეტეს სამი წლისა. ქვეყანაში ჩასვლიდან ექვსი წლის შემდეგ მიგრანტი თუ კვლავ მიიღებს გადაწყვეტილებას დარჩენის შესახებ, მან

უნდა გააკეთოს განაცხადი მუდმივი საცხოვრებელი ნებართვის მისაღებად.⁶⁵ 2011 წლის ივლისისათვის რეგისტრაცია ჰქონდა გავლილი 974 ჩინური ეროვნების პირს მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ნებართვის მისაღებად, აქედან 963-ს მითითებული ჰქონდა თავისი საქმიანობის სფერო.⁶⁶ მაგრამ მიგრანტები საქართველოში არ არიან შეზღუდული თავიანთ საქმიანობაში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, “საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი ნორმები, რომელიც დაარეგულირებდა სამუშაო ნებართვის მიღების საკითხს, სამუშაო საქმიანობის ან სხვა საკითხების განხორციელების დაწყებამდე.” ჩინელ მიგრანტებს საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეუძლიათ მუშაობის დაწყება.

საქართველოში ჩინელებს, ჩვეულებრივ, არ ექმნებათ სერიოზული სამართლებრივი ბარიერები რეგისტრაციასთან დაკავშირებით და ჯერჯერობით არანაირი გართულება არ მოჰყოლია არც მაღაზიის ჩინელი მფლობელების და არც მშენებელი მუშების საქართველოში ყოფნას. საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანში კი მდგომარეობა მკვეთრად განსხვავებულია.

ისევე, როგორც საქართველოში, 2000 წლამდე არც აზერბაიჯანში დაუწყიათ ჩინელებს დიდი რაოდენობით შესვლა. თუმცა, საქართველოში ჩინელების რაოდენობა არასოდეს ყოფილა 2000-ზე მეტი, ხოლო, აზერბაიჯანში კი, შრომის სამინისტროს ინფორმაციით, 2007 წლისათვის 7000 ჩინელი იმყოფებოდა. გარდა ამისა, საქართველოში ჩინელები არ წარმოადგენდნენ ცალკე აღებულ დასაქირავებელ სამუშაო ძალას. აზერბაიჯანში კი მათ მოიაზრებენ როგორც “ასობით არალეგალურ ჩინელს”, რომლებიც ძვირფას სამუშაოს ხელიდან აცლიან ადგილობრივებს. ამ აზრს იზიარებს თვით აზერბაიჯანის მიგრაციის სამსახურის უფროსი. ამგვარად, ჩინელების მიგრაცია აზერბაიჯანში უკავშირდება უსაფრთხოებისა და სოციალურ საკითხებს.

⁶² ინტერვიუ სან ჩენგთან, ივნისი, 2011.

⁶³ ინტერვიუ ლიუ გუანგვენთან, ივნისი, 2011.

⁶⁴ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), “მიგრაცია საქართველოში: ქვეყნის პროფილი 2008”.

⁶⁵ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), “მიგრაცია საქართველოში: ქვეყნის პროფილი 2008”.

⁶⁶ ნინო დანელია, საქართველოს სამოქალაქო რეესტრი, № 01/168030.



ამის საპასუხოდ, 2008 წელს აზერბაიჯანმა გაამკაცრა სავიზო რეჟიმი და დასაქმებასთან დაკავშირებით უცხოელებისათვის დააწესა სპეციალური კვოტები, რამაც კიდევ უფრო გაართულა ჩინური კომპანიების მიერ ჩინელი მუშების დიდი რაოდენობით დაქირავება.⁶⁷

თუმცა ის, თუ როგორ ექცევიან აზერბაიჯანულ სელისუფლების წარმომადგენლები ჩინელებს, შეიძლება საჭიროებდეს შემოწმებას. თუ უბრალოდ ინტერნეტით მოვიძიებთ ინფორმაციას 'ბაიდუ'-ს საძიებელი სამსახურით, მოგზაურთა ფორუმზე ვნახავთ, როგორ აფრთხილებენ ჩინელებს, არ ჩავიდნენ აზერბაიჯანში. ყვებიან, როგორ აწამებენ იქ მათ, აიძულებენ მისცენ ქრთამი, ხოლო, პოლიციასა და მიგრაციის ბიუროში მათ ფიზიკურად უსწორდებიან.⁶⁸ გაურკვეველია,

თუ რა სისწორით ხდება ამგვარი ინციდენტები და აქვს თუ არა მას სისტემატური ხასიათი, ვინაიდან აზერბაიჯანში მრავალი წლის განავლობაში უპრობლემოდ ცხოვრობენ ჩინელები, რომლებიც იქ წარმატებით საქმიანობენ.

აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველოში მცხოვრებ ჩინელებს ნაკლები პრობლემები აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე საქართველოშიც მაღალია, ჩინელების მიმართ არ განდება ისეთივე აგრესია, თუ შენარჩუნდება ქვეყანაში მათი შედარებით ნაკლები რაოდენობა და ჩინელი მიგრანტები სახელწიფოში შემოსვლისას გაივლიან საჭირო რეგისტრაციას. ამასთან, იმის გამო, რომ ჩინელი კონტრაქტორები იყენებენ ჯანსაღი დასაქმების პოლიტიკას, როგორცაა, მაგალითად, 70% ადგილობრივი სამუშაო ძალის გამოყენება, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩინური კომპანიების და საწარმოების არსებობა ქვეყანაში ზრდის ადგილობრივთა დასაქმების შესაძლებლობას და ზოგადად, ეხმარება ქვეყანას ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

⁶⁷ რაშად სულეიმანოვი, "აზერბაიჯანი: რეპრესიები უცხოელი მუშების წინააღმდეგ," IWPR, IWPR. <http://iwpr.net/report-news/azerbaijan-crackdown-foreign-workers>. აზერბაიჯანში მომუშავე ჩინელი მშენებლობის მუშების ერთი ჯგუფი ეოველთვიურად შემოდის საქართველოში ვიზის მისაღებად.

⁶⁸ ბაიდუ არის ჩინეთში ყველაზე პოპულარული საძიებელი მექანიზმი. ყურადღებას იქცევს შემდეგი ციტატები: "თუ [პოლიცია] დაინახავს ჩინელს, ის უმოწმებს მას დოკუმენტებს, ვინაიდან ჩინელების უმრავლესობა [აზერბაიჯანში] არ იცავს ქვეყანაში შესვლის ოფიციალურ პროცედურებს, ხოლო როდესაც [პოლიცია] ხვდება ჩინელს, მისთვის ეს ნიშნავს სიმდიდრის ღმერთთან შეხვედრას. უკეთეს შემთხვევაში მათ [პოლიცია ართმევეს] რამდენიმე ასეულ, უარეს შემთხვევაში კი ათასობით აშშ დოლარს - ასეთ სიტუაციებს ნამდვილად აქვს ადგილი. ეს საშინელებაა და შეიძლება ამის შემდეგ დაგაპატიმრონ კიდევ. (გამოგზავნილია 2009 წლის 9 იანვარს), [აზერბაიჯანის საიმპრაციო სამსახური] ჩინელებს ადამიანებად არც კი თვლის, ჩვენ რამდენიმე დღის ჩამოსულების ვიყავით, როდესაც აგვიყვანეს (დაგვაპატიმრეს) - ფულის გამოძალვა, ფიზიკური შეურაცხყოფა, პასპორტიც არ იყო საკმარისი" (გამოგზავნილია 2010 წლის 23 მაისს), ნუ ჩამოხვალთ. ეს ადგილი ძალიან კორუმპირებულია, ათი ადამიანი რომ ჩამოვიდეს, ათივე ნანობს, უმეტესად ჩინელები უკან ბრუნდებიან." (გამოგზავნილია 2010 წლის 29 ოქტომბერს). არიან კიდევ ჩინელი 'სნეიკვლები', რომლებსაც აშკარად ავაზაკური ხერხებით შემოჰყავთ ჩინელები აზერბაიჯანში და "სულ არ

5.4 უსაფრთხოება და დანაშაული

2004 წელს სახლისკენ მიმავალ ჩინელ კაცს მეზობელი დაესხა თავს. ამ შემთხვევის აღწერის დროს საქართველოში მყოფი ჩინელი მოქალაქეების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგ დეტალებს გაუსვა ხაზი:

“საზოგადოებრივი უსაფრთხოების/წესრიგის არარსებობის, ძალოვანთა კორუმპირებულობის და უცხოელებისადმი ცუდი განწყობის გამო, ხანდახან თავს ესხმიან ჩინელებს. თუმცა, შურისძიების, შიშისა თუ სხვა მიზეზთა გამო, თავდასხმის შესახებ ბევრი არ მიმართავს საქართველოს შესაბამის უწყებებს ან ჩინეთის საელჩოს. პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია პოლიციის მიერ უცხოელებზე ძალადობის შესახებ. ფაქტები, როდესაც ასეთი შემთხვევა

დარდობენ მოკვდებიან ისინი იქ თუ გადარჩებიან.” <http://tieba.baidu.com/p/151682293?pn=2> [ჩინურად].



გამოიძიეს პატიოსნად, სამართლიანობის ფარგლებში, ძალიან ცოტაა.”⁶⁹

2006 წლის ივლისში იარაღის მუქარით გაძარცვეს სამი ჩინელი, ერთი ლოყაში დაჭრეს და საჭირო გახდა მისი გადაყვანა საავადმყოფოში. იმავე წელს, შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ ოთხსულიან ოჯახს და მიაყენეს სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები. 2007 წლის თებერვალში ორმა პირმა გაძარცვა ჩინური მაღაზიის თანამშრომელი, რომელსაც მათ ექვსი ჭრილობა მიაყენეს თავში. საჭირო გახდა მისი ჰოსპიტალიზაცია.⁷⁰ 2006 წლიდან 2008 წლის დასაწყისამდე განაცხადი შევიდა ძარცვის, მაღაზიის აღჭურვილობის ქურდობის და სხვა სახის თავდასხმის შეიდ შემთხვევაზე.⁷¹ არ უნდა გამოირიცხოს გამიზნული დანაშაული სიძულვილის ნივთიერებაზე, ამიტომ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ დროს თავდასხმისა და ძარცვის ობიექტები ხდებოდნენ სხვა ქვეყნიებიდან ჩამოსული უცხოელებიც.

2004 წელს გამოქვეყნებული სამეზავრო ცნობარი აფრთხილებს ამერიკელებს “ბანდიტური თავდასხმებისა და შეიარაღებული ბანდების დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე”, ასევე იმის შესახებ, რომ ხანდახან იტაცებდნენ და კლავდნენ დასავლეთელ მაღალი რანგის ბიზნესმენებსა და თანამდებობის პირებს. 2011 წლისათვის ინგლისის საელჩო საქართველოში და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი კვლავაც

იმეორებენ, რომ “ჯერ კიდევ ხდება უცხოელების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებები”.⁷²

მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უცხოელების უსაფრთხოების მდგომარეობა საქართველოში საგრძნობლად გაუმჯობესდა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მკვეთრად დაეცა კორუმპირებულობის დონე პოლიციაში. ჩინელმა მაღაზიის მფლობელებმა და ბაზრის მოვაჭრეებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ისინი შედარებით უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, ხოლო თავდასხმის ან მათ წინააღმდეგ ჩადენილი ნებისმიერი სხვა დანაშაულის შემთხვევაში უფრო ადვილად შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივ პოლიციას. თუმცა, ზოგიერთმა მათგანმა მაინც გამოთქვა სკეპტიკური აზრი და აღნიშნა, რომ პატარა პრობლემების მოგვარება, როგორცაა წვრილმანი ქურდობა მაღაზიებში, ჩინელებს მაინც თავად უწევთ, ხელისუფლების ორგანოების ჩარევის გარეშე. ერთმა ქუჩის მოვაჭრემ თქვა, რომ პოლიცია უპირატესობას ეთნიკურ ქართველებს ანიჭებს და ენობრივი ბარიერის გამო ხშირად შეუძლებელია დანაშაულზე სწრაფი და კორექტული რეაგირება. თუმცა, მანვე აღნიშნა, რომ მსხვილი დანაშაულის შემთხვევაში, ის აუცილებლად მიმართავს ქართულ პოლიციას.⁷³

თვითონ ჩინელი მიგრანტები ზოგადად ემორჩილებიან ქართულ კანონმდებლობას. 2007 წლის ივნისში ჩინეთის მოქალაქეს 2 წელი მიუსაჯეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექმნისათვის.⁷⁴ ერთ-ერთი წყაროს ცნობით, 2008 წელს ასევე ჩინელი დააპატიმრეს ყალბი ფულის საქმესთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, ასევე უნდა ყოფილიყო შემთხვევები, როდესაც ჩინელები მონაწილეობდნენ საქართველოს გავლით ადამიანების ტრეფიკინგის საქმეში. იმავე

⁶⁹ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი, “ჩინეთის მოქალაქეებს საქართველოში თავს დაესხნენ. საგარეო საქმეთა სამინისტრო შეახსენებს საქართველოში მყოფ ჩინელებს გამოიჩინონ სიფრთხილე,” 27 ოქტომბერი, 2007. <http://www.fmprc.gov.cn/chn/gxh/cgb/zcgmzysx/yz/120610/fyrygth/t167956.htm> [ჩინურად].

⁷⁰ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო, “ჩინელი ბიზნესმენები გაძარცვეს,” 2 მარტი, 2007. <http://ge.china-embassy.org/chn/xwdt/t300638.htm> [ჩინურად].

⁷¹ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო, “შენიშვნები იმ ჩინელებისათვის, რომლებიც საქართველოში აპირებენ წასვლას,” 16 აგვისტო, 2006. <http://ge.china-embassy.org/chn/fggxz/zysx/t267812.htm> [ჩინურად].

⁷² გლადსონ ი. ნუანა, *საზღვარგარეთ წამსვლელი ამერიკელები: რა უნდა იცოდეთ წასვლამდე*, 2004, აშშ საელჩო http://travel.state.gov/travel/cis_pa_tw/cis/cis_1122.html#safety, და ინგლისის საელჩო <http://www.fco.gov.uk/en/travel-and-living-abroad/travel-advice-by-country/europe/georgia>

⁷³ ინტერვიუ ქუჩის მოვაჭრესთან, მაისი, 2011

⁷⁴ ჩინეთის საელჩო საქართველოში, <http://ge.china-embassy.org/chn/xwdt/t329544.htm>



წყაროს ცნობით, ამჟამად საქართველოს ციხეებში იმყოფება 2 ან 3 ჩინელი.⁷⁵

VI. განათლება ჩინურ ენაზე და კულტურული გაცვლა

ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის განხეთქილების გამო, საბჭოთა საქართველოში ჩინური ენის სწავლება ნებადართული არ იყო; ცნობილი ჩინელი ჩაის სპეციალისტის შვილიშვილი, ლიუ გიუნგვენი ისხენებს, რომ როდესაც მასთან გაკვეთილზე მოდიოდნენ ჩინური ენის შესწავლის მსურველები, სუკ-ის აგენტები მის კარს არ სცილდებოდნენ. ამის გამო, იგი საკუთარ შვილებს ჩინურს არ ასწავლიდა მანამ, სანამ საბჭოთა კავშირი არ დაიშალა. 1984 წელს საქართველოს უცხო ენათა ინსტიტუტში შემოიღეს ჩინური ენის სწავლების მოკლე კურსი - ეს იყო ჩინური ენის სწავლების პირველი პროგრამა სამხრეთ კავკასიაში. მოგვიანებით, სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს პროგრამა შეწყდა და ჩინურის სწავლება მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განახლდა, როდესაც 1992 წელს ‘აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში’ გაიხსნა ჩინური ენის კათედრა.⁷⁶

კათედრის პირველი პროფესორი იყო ლიუ გუნგვენი, რომელიც ასწავლიდა ჩინური ენის სპეციალისტთა პირველ ჯგუფს; დღეისათვის ეს ჯგუფი საქართველოში კვლავაც ასწავლის ჩინურ ენას და ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას, რომელშიც ჩაბმულნი არიან მისი სტუდენტები, ასევე, მისი სტუდენტების სტუდენტები. იმ მცირე რაოდენობით ქართველების უმრავლესობამ, რომლებმაც სამუშაო დონეზე იციან ჩინური, სწავლა დაიწყეს აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში და მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებში საზღვარგარეთ,

რომელთა განხორციელებაც 1995 წელს დაიწყო.⁷⁷ დღეისათვის, ისინი უმეტესწილად მუშაობენ მთარგმნელებად ან ჩინური ენის მასწავლებლებად. 2004 წლისათვის ჩინურს, როგორც ძირითად ენას, სწავლობდა უნივერსიტეტის 60-70 სტუდენტი, ხოლო კონფუციის ინსტიტუტის ქართველი დირექტორის, მარინე ჯიბლაძის ინფორმაციით, ახლა მათი რაოდენობა უფრო მეტია.⁷⁸

2007 წელს, ‘აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი’ გაერთიანებული იყო ‘თავისუფლების უნივერსიტეტთან’. 2009 წლის ნოემბერში ‘აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის’ დირექტორის ჩინეთში, ლანჯოუს უნივერსიტეტში სტუმრობისას ორ უნივერსიტეტს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ‘აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში’ კონფუციის ინსტიტუტის დაარსების შესახებ.⁷⁹ კონფუციის ინსტიტუტი არის სახალხო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც ფილიალები აქვს მსოფლიოს 70 ქვეყანაში. ნაწილობრივ მას აფინანსებს ჩინეთის მთავრობა, თუმცა, ფუნქციონირებს როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია და ჩვეულებრივ, არის ადგილობრივი უნივერსიტეტის ფილიალი. თბილისის ფილიალის ამჟამინდელი დირექტორის ვენ გუპეის სიტყვებით ინსტიტუტის მიზანია “ჩინური კულტურის პროპაგანდა”, ხოლო, ჩინური ენის სწავლება მხოლოდ ერთი ასპექტია ამ მიზნის მისაღწევად. კონფუციის ინსტიტუტი თბილისში ოფიციალურად 2010 წლის ნოემბერში გაიხსნა, თუმცა, დღემდე ძალიან ნელი ტემპით იღებს სტუდენტებს. ინსტიტუტის გახსნის დროისათვის სადამოსა და დამის კურსებზე სწავლობდა სხვადასხვა ასაკის 10-მდე სტუდენტი. ამჟამად, იქ დაახლოებით 20 სტუდენტია.

ინსტიტუტის სამმა ჩინელმა მასწავლებელმა, ისევე, როგორც მისმა ჩინელმა დირექტორმა გაიარა შემოწმება, რის შემდეგაც ისინი სამსახურში აიყვანა განათლების

⁷⁵ ინტერვიუ იუ ჰუასთან, იენისი, 2011.
⁷⁶ მარინე ჯიბლაძე, “ჩინური ენის სწავლებისა და სინოლოგიის განვითარება საქართველოში,” Journal of World Chinese Teaching, 2004, ტ. 4, გვ. 109-111 [ჩინურად].

⁷⁷ იქვე
⁷⁸ ინტერვიუ მარინე ჯიბლაძესთან, იენისი, 2010.
⁷⁹ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, პროფესორი გურამ ჩიქოვანი ეწვია ლანჯოუს უნივერსიტეტს,” 6 ნოემბერი, 2009, <http://news.lzu.edu.cn/content/4a498019247da3d80124c89358ed142f.shtml> [ჩინურად].



სამინისტრომ. კონფუციის ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი აქვს ჩინეთის საელჩოსთან და საელჩოს თანამშრომლები ხშირად ესწრებიან ინსტიტუტის მიერ მოწოდებულ ღონისძიებებსა და სპექტაკლებს. ჯერჯერობით ჩატარებულია ჩინური ენის ორი კონკურსი, პირველი ჩატარდა 2010 წლის აპრილში ჩინეთის საელჩოს და თავისუფალი უნივერსიტეტის სპონსორობით, ხოლო მეორე - 2011 წლის მაისში მოაწვევს თავისუფალმა უნივერსიტეტმა და კონფუციის ინსტიტუტმა.⁸⁰ თითოეულ ღონისძიებას ესწრებოდა ჩინეთის მოქმედი ელჩი საქართველოში, პირველად გუნ ცზიანგეი და მეორედ ჩენ ძიენფუ.

კონფუციის ინსტიტუტი, ლანჯოუს უნივერსიტეტის დახმარებით ასევე უზრუნველყოფს საზღვარგარეთ სწავლის პროგრამებს ქართველი სტუდენტებისთვის. თუმცა, ამჟამად საქართველოში არ სწავლობს არცერთი ჩინელი სტუდენტი, განსხვავებით ინდოელი სტუდენტებისგან, რომლებიც დიდი რაოდენობით მოდიან საქართველოში. კონფუციის ინსტიტუტის ჩინელი დირექტორის ვენ გუპეის სიტყვებით, ეს ხდება იმიტომ, რომ საქართველო არის განვითარებადი ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი რესურსი სტიპენდიების გამოსაყოფად. მას ჯერჯერობით ცოტა რამ აქვს უმაღლესი განათლების სისტემაში ჩინელი სტუდენტების მოსაზიდად, რომლებიც არჩევენ განათლების მიღებას დასავლეთის ქვეყნებში, ან მონაწილეობას უფრო მეტად სპეციალიზებულ პროგრამებში.

VII. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო და ჩინეთის საგარეო პოლიტიკა

1991 წლის 27 დეკემბერს ჩინეთის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო 1992 წლის ივნისში მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.⁸¹ იმავე წლის ოქტომბერში მან

⁸⁰ პრიზი იყო სტიპენდია ექვსი თვის განავლობაში პეკინში სასწავლებლად.

⁸¹ შედარებისათვის, აშშ-მ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა მხოლოდ 1992 წლის აპრილში.

საქართველოში გახსნა საელჩო. წლების განმავლობაში საელჩო მონაწილეობას იღებდა ჩინური სათვისტომოსთვის ღონისძიებების მოწვობაში, შუა შემოდგომის და მოვარის ახალი წლის დღესასწაულების, წარმოდგენების და კულტურული გამოფენების ჩათვლით. საელჩოს თანამშრომლები ასევე ესწრებიან კონფუციის ინსტიტუტის მიერ მოწოდებულ ყველა მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებას.⁸²

რაც შეეხება ბიზნესს, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ეკონომიკური და კომერციული მრჩეველის ოფისი საკმაოდ აქტიურად მუშაობს. 2011 წლის აპრილში მან მოაწყო საქართველოში მცხოვრები ჩინელი ბიზნეს-ლიდერების და კომპანიის წარმომადგენლების შეხვედრა, რითაც წაახალისა ისინი თანამშრომლობისაკენ, კარგი კორპორაციული იმიჯის შექმნისა და საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების უფრო მაღალ დონეზე აყვანისაკენ. გარდა ამისა, ის ასევე თვალყურს ადევნებს ამ ბოლო წლებში საქართველოში ჩამოსულ ბიზნეს-დელეგაციებისა და მაღალი დონის ინვესტორთა უწყვეტ ნაკადს. დისკუსიებს თავმჯდომარეობდა ეკონომიკური მრჩეველი ჩენ რანიუნი. ჩინეთი მხარს უჭერს მისი მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ ბიზნესის წამოწყებას. ეკონომიკური და კომერციული მრჩეველის ოფისმა 2011 წლის მარტში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, პოტენციური ინვესტორებისათვის გამოსცა ვრცელი ცნობარი საქართველოს შესახებ, რომელშიც დეტალურად იყო განხილული კორპორაციული სამართალი, დაბეგვრის პროცედურები და ა.შ. ცნობარი ურჩევს მკითხველს დაამყაროს კარგი ურთიერთობა ადგილობრივებთან, ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმიანობაში.⁸³

⁸² ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, “ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები”. ბოლო მონაცემები შეტანილი იქნა 2011 წლის 25 მარტს.

http://www.fmprc.gov.cn/chn/gxh/cgzh/zcgmzysx/yz/1206_10/1206x1/t6931.htm [ჩინურად].

⁸³ ინტერნეტ-მისამართი: ge.mofcom.gov.cn/accessory/201104/1303888528790.pdf [ჩინურად].



აქტიურად მუშაობს ჩინეთის ამჟამინდელი ელჩი საქართველოში, ესწრება ბიზნეს-ფორუმებს, ხელს უწყობს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარებას, რისთვისაც ის ხვდება მაღალი თანამდებობის პირებს საქართველოში, ასევე, ჩინელ მოსახლეობას და ჩინურ კომპანიებს. ჩენ ძიანფუ ესტუმრა მაღაზიის მფლობელებს ლილოში, ასევე რიკოთის გვირაბისა და თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობებს. რკინიგზის მშენებლობას იგი ეწვია 30 ივნისს, კომუნისტური პარტიის 90-ე წლისთავის წინა დღეს. მან იქ წარმოსთქვა მისაღობი სიტყვა, რომელშიც მოუწოდა პროექტის ხელმძღვანელებს, პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭებინათ ამ პროექტისათვის და შეახსენა მათ, დაეცვათ ადგილობრივი წესები, შეესრულებინათ კონტრაქტის პირობები და ჩამოეყალიბებინათ ჯანსაღი საზოგადოებრივი იმიჯი. ელჩმა ჩინელ აუდიტორიასთან საუბრისას ხაზი გაუსვა იმას, რომ მათ თავიანთი შრომით საკუთარი წვლილი შეაქვთ ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საქმეში, რაც ემსახურება მათი სამშობლოს კეთილდღეობას.⁸⁴

არიან ექსპერტები, რომლებიც ჩინელთა მიგრაციას მიიჩნევენ უფრო ფართო “ტრანსნაციონალური მართვის” სტრატეგიის ნაწილად, რომლის მიხედვითაც უცხოეთში მცხოვრები ჩინელები ემსახურებიან ჩინეთის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გაფართოვების მიზნებს.⁸⁵ თუმცა, იმის გამო, რომ ჩინელი მიგრანტები და ჩინური ბიზნესები შეიძლება მივიჩნიოთ “ჩინეთის გლობალიზაციის საშუალებად”, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მოქმედებაშია იმაზე მეტი, ვიდრე წმინდა ეკონომიკური ძალები. საზღვარგარეთ წასვლის პოლიტიკა ჩადებულია CCPCC-ს მე-12 ხუთწლიან გეგმაში, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის

ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ჩინეთი ირწმუნება, რომ ის არ ისწრაფვის საერთაშორისო ჰეგემონიისაკენ, არც საკუთარი სოციალური სისტემისა თუ განვითარების მოდელის ექსპორტს გეგმავს - ეს არის მისი საგარეო პოლიტიკის კურსი, რომელსაც ის გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მიჰყვება.⁸⁶

საერთოდ, ჩინეთის დაინტერესება საქართველოში და სამხრეთ კავკასიით უმთავრესად შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური სფეროთი. ეს რეგიონი, თავისი ენერგეტიკული რესურსებითა და მზარდი ბაზრებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს ევროპისაკენ. პოლიტიკური თვალსაზრისით, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, ჩინეთს უჭირავს ფრთხილი, ნეიტრალური და ამავე დროს, კეთილგანწყობილი პოზიცია. ტერიტორიული მთლიანობა წარმოადგენს ჩინეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ დერძს;

2011 წლის მარტში, ჩინეთის ელჩი შეხვდა საქართველოს მთავარი პოლიტიკური პარტიის ‘ერთიანი ნაციონალური მოძრაობის’ გენერალურ მდივანს, რომელმაც დაარწმუნა დიპლომატი, რომ საქართველო კვლავაც მხარს დაუჭერს “ერთიანი ჩინეთის” პოლიტიკას - ჩინეთის პოზიციას ტაივანის, ტიბეტის და ხინჯიანგ უიღურის ავტონომიური ოლქის სეპარატისტების მიმართ.⁸⁷ ჩინეთისათვის პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები მხარს უჭერენ “ერთიანი ჩინეთის” პოლიტიკას.

წლების განმავლობაში ჩინეთი ახორციელებდა ღონისძიებებს

⁸⁴ იხ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ვებ-გვერდი მისამართზე: <http://ge.china-embassy.org/chn/> [ჩინურად].

⁸⁵ ელენა სადოვსკაია, “ჩინელთა მიგრაცია ეაზიურეთში: თანამშრომლობის აბრეშუმის გზა თუ ცრურწმენის ეკლიანი გზა?.” China and Eurasia Forum Quarterly, ტ. 5, № 4 (2007), 157, მისამართზე: http://kms1.isn.ethz.ch/serviceengine/Files/ISN/46179/ichaptersection_singledocument/d6aec3e0-849b-4a9c-b056-9883d5fbab66/en/8+es07silkroad.pdf.

⁸⁶ “ჩვენ არ უნდა გადავუხვიოთ მშვიდობიანი განვითარების გზას,” ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება ჩინეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მე-12 ხუთწლიანი გეგმის შედგენასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებული იქნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-17 ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენარულ სესიონზე, <http://www.fmprc.gov.cn/eng/zxxx/t777704.htm>

⁸⁷ იხ. ჩინეთის საელჩოს ვებ-გვერდი, <http://ge.china-embassy.org/chn/> [ჩინურად].



საქართველოსათვის ეკონომიკური დასხმარების გასაწევად. 1994 წელს ჩინეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს სავაჭრო სასესიო ხელშეკრულებას 30 მილიონ რენმინბი-ზე (RMB), რომელსაც 1996 წელს დაემატა კიდევ 100 მლნ. რენმინბი (RMB) დასხმარება. 2006 წლის აპრილში საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი შეხვდა ჩინეთის პრეზიდენტს ჰუ ძინტაოს. მათ ხელი მოაწერეს მემორანდუმს 'ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ'⁸⁸ 2008 წლის მარტში ამ ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა 'ჩინეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ხელშეკრულებას', რომლის საფუძველზედაც ჩინეთმა დასხმარების მიზნით გამოყო კიდევ 40 მლნ. რენმინბი (RMB) - საიდანაც 30 მლნ. გამოყენებულ იქნა სარკინიგზო ტვირთების ინსპექტირების სისტემის შესაქმნელად საქართველოში.⁸⁹

VIII. დასკვნა

ჩინეთის მთავრობისათვის, ისევე, როგორც ჩინელი მიგრანტებისთვის, საქართველო რჩება მსოფლიოს პერიფერიულ ნაწილად. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ, საქართველოში მსხვილი ჩინური საწარმოების რაოდენობა გაიზრდება, რადგან, როგორც სახელწიფო მფლობელობაში არსებული, ისე კერძო ჩინური კომპანიები აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას უცხო ქვეყნებში, ასევე, საქართველოს მთავრობა აგრძელებს მათი ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მალე საქართველოში

გაიზრდება ჩინელი ბიზნესმენების, კომპანიის თანამშრომლებისა და სპეციალისტების რაოდენობა - განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაწესდა პირდაპირი საჰაერო რეისები ამ ორ ქვეყანას შორის.

მაგრამ თუ არ გამოსწორდა საქართველოს ეკონომიკა და მომხმარებლის მიერ ფულის ხარჯვის მოდელი, მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნიდან გამსვლელი ჩინელების რაოდენობა ალბათ გადააჭარბებს ქვეყანაში შემომსვლელი ჩინელი ეკონომიკური მიგრანტების რაოდენობას. ჩინური მაღაზიების რიცხვი ალბათ ცოტა შემცირდება და შესაბამისობაში მოვა მოხმარებლის მოთხოვნილებასთან, ისე, როგორც ეს უკვე მოხდა ადრე.

როგორც არ უნდა იყოს, ცხადია, რომ ჩინელები გახდნენ საქართველოს მრავალფეროვანი ეთნიკური შემადგენლობის პატარა, მაგრამ ალბათ მუდმივი ნაწილი. ისევე, როგორც მიგრანტების სხვა, ახალმა ჯგუფებმა, აფრიკელებისა და ინდოელების ჩათვლით, მათი 'უცხოელობის' გამო, ქართველებში, რომლებსაც ამგვარ ხალხთან და კულტურებთან მანამდე არ ჰქონიათ პირდაპირი კონტაქტი, შეიძლება გამოიწვიოს ეჭვი და გაღიზიანება. ვინაიდან ჩინური საწარმოები და მიგრანტები აპირებენ მომავალ წლებშიც გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა საქართველოში, კვლავაც აუცილებელი იქნება ქართველი საზოგადოების განწყობის მონიტორინგი, უცხოეთიდან შემოყვანილი მუშების რაოდენობის თაობაზე შეთანხება და ეკონომიკური პოლიტიკის დეტალურად ჩამოყალიბება, რათა ხაზი გაესვას იმას, რომ მათი ქვეყანაში ყოფნა ისევე პოზიტიური და სარგებლობის მომტანია

⁸⁸ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, "საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები". განახლებულია 2011 წლის 25 მარტს.

http://www.fmprc.gov.cn/chn/gxh/cgb/zcgmzysx/vz/1206_10/1206x1/t6931.htm [ჩინურად].

⁸⁹ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ეკონომიკური და კომერციული მრჩეველის ოფისი, "საქართველოს რკინიგზა იყენებს ტვირთების ინსპექტირების ჩინურ სისტემას," 31 მაისი, 2011. <http://ge2.mofcom.gov.cn/aarticle/chinanews/201105/20110507579471.html>.



შემდგომი ინფორმაციისთვის იხილეთ:

EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES (ECMI)

Schiffbruecke 12 (Kompagnietor) D-24939 Flensburg

☎ +49-(0)461-14 14 9-0 * fax +49-(0)461-14 14 9-19

* E-Mail: info@ecmi.de * Internet: <http://www.ecmi.de>